

BMJ Best Practice

სეფსისი ბავშვებში

უშუალოდ პაციენტის მოვლის ადგილას



ბოლო განახლება: Dec 15, 2023

სარჩევი

მიმოხილვა	3
შეჯამება	3
განსაზღვრება	3
თეორია	4
ეპიდემიოლოგია	4
ეტიოლოგია	4
პათოფიზიოლოგია	7
კლასიფიკაცია	8
შემთხვევის ანამნეზი	9
დიაგნოზი	11
მიდგომა	11
ანამნეზი და გასინჯვა	17
რისკფაქტორები	19
კვლევები	22
დიფერენციული დიაგნოზები	27
კრიტერიუმები	30
სკრინინგი	33
მართვა	34
მიდგომა	34
მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა	45
მკურნალობის ალგორითმი	48
სიახლეები	72
პირველადი პრევენცია	72
მეორეული პრევენცია	73
მეთვალყურეობა	74
მონიტორინგი	74
გართულებები	75
პროგნოზი	78
გაიდლაინები	79
დიაგნოსტიკური გაიდლაინები	79
მკურნალობის გაიდლაინები	80
ონლაინ რესურსები	82
მტკიცებულების ცხრილები	83
წყაროები	91
სურათები	108
განმარტება	109

შეჯამება

ბავშვებში სეფსისი შეიძლება თავდაპირველად გამოვლინდეს არასპეციფიკური, არალოკალიზებული სიმპტომებით (განსაკუთრებით უფრო მცირე ასაკობრივ ჯგუფებში). ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გვექონდეს დაბალი ბარიერი სეფსისის ეჭვისათვის, როგორც სეფსისის საწყისი კლინიკური გამოვლინება.

სეფსისისა და სეპტიკური შოკის კრიტიკული ხასიათის გათვალისწინებით, როდესაც, კლინიკური მდგომარეობის საფუძველზე ეჭვია სეფსისზე, დროის მიხედვით. ჩვეულებრივ, სჯობს სეფსისის გამოკვლევის და მკურნალობის დაწყება, ანტიბიოტიკების შეყვანის და რეპიდრატაციის ჩათვლით. ეს უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ არ გამოირიცხება სეფსისი.

ორგანოს უკმარისობამდე და შოკამდე პროგრესირება ხშირად ვითარდება ძალიან სწრაფად, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ადრეული ამოცნობა და მკურნალობა.

ემპირიული ფართო სპექტრის ანტიბიოტიკოთერაპია (ყველაზე სავარაუდო პათოგენებზე დაფუძნებული) უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება მალე და ყოველთვის პირველი საათის განმავლობაში მძიმე სეფსისის გამოვლენის შემდეგ.

სხვა მკურნალობა, ძირითადად, დამხმარეა და უნდა განხორციელდეს საერთაშორისოდ აღიარებული შეთანხმებული გაიდლაინების შესაბამისად.

განსაზღვრება

სეფსისი არის კლინიკური სინდრომი, რომელიც ვითარდება ინფექციისადმი არარეგულირებადი იმუნური პასუხიდან გამომდინარე.[1] ხასიათდება რამდენიმე პათოფიზიოლოგიური პროცესის არევიტ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ქსოვილთა ფართოდ გავრცელებული დაზიანება.[2] ეს მოიცავს სიმძიმის კლინიკურ სპექტრს მძიმე სეფსისის, სეპტიკური შოკის და მულტიორგანულ უკმარისობას.[3] სეფსისი მსოფლიო მაშტაბით ბავშვებში ავადობისა და სიკვდილობის მთავარი გამომწვევი მიზეზია.[4]

ტრადიციულად, სეფსისი განისაზღვრებოდა სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის (SIRS) არსებობის ან არარსებობის საფუძველზე. მოზრდილებში სეფსისის განსაზღვრებები განახლდა 2016 წელს, სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომის განმარტებით შეიცვალა და მოიხსნა ტერმინი „მძიმე სეფსისი“.[3]

ამჟამად არ ხდება რაიმე შესწორება პედიატრიული სეფსისის საერთაშორისო კონსენსუსის შედეგად მიღებული განსაზღვრების, რომელიც შედგა 2005წელს.[3] თუმცა, 2020 წელს Surviving Sepsis Campaign შემოგვთავაზა სეპტიკური შოკის განმარტება ბავშვებში: „მძიმე ინფექცია, რომელიც იწვევს გულ-სისხლძარღვთა დისფუნქციას (მათ შორის ჰიპოტენზია, ვაზოაქტიური მედიკამენტებით მკურნალობის აუცილებლობა ან დაქვეითებული პერფუზია).[5]

ეპიდემიოლოგია

ბავშვებში სეფსისის შესახებ გლობალური მონაცემები არასრულია, თუმცა, შეფასებულია, რომ 5 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებში სიკვდილის შემთხვევების უმეტესობის მიზეზს ინფექცია წარმოადგენს.[4] სეფსისით დაავადებული ბავშვების სიკვდილობა 4%-50%-ში მერყეობს დაავადების სიმძიმის, რისკ-ფაქტორებისა და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე.[5] ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ 2017 წელს 5 წლამდე ასაკის ბავშვებში სიკვდილის წამყვანი მიზეზები იყო: ნაადრევი მშობიარობის გართულებები, მწვავე რესპირატორული ინფექციები, ინტრანატალური გართულებები, დიარეა და თანდაყოლილი პათოლოგიები.[4] პოსტნეონატალურ 5 წლამდე ასაკის ბავშვებში, სიკვდილის ძირითადი მიზეზები იყო მწვავე რესპირატორული ინფექციები და დიარეა.[4]

„დაავადებათა გლობალური ტვირთის“ კვლევის შეფასებით, 2017 წელს, მსოფლიოში იყო 20.3 მილიონი (95% უზუსტობი ინტერვალი [UI] 14.0-დან 29.7-მდე) სეფსისის შემთხვევა 5 წლამდე ასაკის ბავშვებში და 4.9 მილიონი (3.5-დან 7.0-მდე) სეფსისის შემთხვევა 5-19 წლის ბავშვებსა და მოზარდებში.[11] ორმა დიდმა კოჰორტულმა კვლევამ აღწერა მძიმე სეფსისის ყოველწლიური ინციდენტობა ბავშვებში (განსაზღვრულია როგორც <20 წლის ასაკის), რომელთა ჰოსპიტალიზაციაც მოხდა მწვავე მდგომარეობით აშშ-ის შვიდი შტატის კლინიკებში.[12] [13] ამ კვლევებმა აჩვენა მძიმე სეფსისის მზარდი ყოველწლიური ინციდენტობა 1995-2005 წლებში (0,56-0,89 შემთხვევა/1000 ბავშვი [წლების მიხედვით], ყველა ასაკობრივ ჯგუფში).[13] კოჰორტაში მძიმე ფორმის სეფსისის ინციდენტობა შესამჩნევად უფრო მაღალი იყო უმცროს ასაკობრივ ჯგუფში (ავადობის მაჩვენებელი ახალშობილებსა და <1 წლის ჩვილებში იყო 9.7 და 2.25 შემთხვევა/1000 ბავშვიდან, 0.23- 0.52 1-19 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით). მძიმე ფორმის სეფსისი აგრეთვე უფრო გავრცელებული იყო ბავშვებში, რომელთაც ჰქონდათ სხვა თანმხლები დაავადებები. მძიმე ფორმის სეფსისის ინციდენტობის ზრდის მიუხედავად, სიკვდილობის სიხშირემ დაიკლო 10.3%-დან - 8.9%-მდე.[13]

ერთ-ერთი სისტემური მიმოხილვის შეფასებით, ყოველწლიურად სეფსისის გლობალური ტვირთი ბავშვებში შეადგენდა 1.2 მილიონ შემთხვევას.[14] გამოქვეყნებული კვლევები აგრეთვე აღწერს მძიმე სეფსისის პრევალენტობას პედიატრიულ ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში (ICU) მოთავსებულ პაციენტებს შორის. ერთმა დიდმა, მრავალცენტრულმა კოჰორტულმა კვლევამ, რომელმაც გამოიყენა მონაცემები აშშ-ს 42 ინტენსიური თერაპიის განყოფილებიდან, აჩვენა, რომ მძიმე სეფსისის პრევალენტობა ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 7.7%. ეს შეესაბამება აშშ-ს სხვა ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს და ადასტურებს მძიმე სეფსისის მზარდ პრევალენტობას სიკვდილიანობის რისკის შემცირებით.[15] მძიმე სეფსისის პრევალენტობის დიდი საერთაშორისო კვლევამ (სეფსისის პრევალენტობა, შედეგები და თერაპია [SPROUT]) აჩვენა, რომ მძიმე სეფსისის გლობალური გავრცელება პედიატრიულ ინტენსიური მოვლის განყოფილებაში იყო 8.2% (95% სარწმუნოების ინტერვალი [CI] 7.6% - 8.9%).[16] თუმცა, სავარაუდოდ, ბავშვებში სეფსისის ჭეშმარიტი ინციდენტობა მნიშვნელოვნად დაქვეითებულად არის შეფასებული საავადმყოფოში ინფექციების არასრულფასოვანი აღრიცხვიანობა/რაპორტირებისა და კლინიკური კოდირების გამო.[17]

ეთიოლოგია

სეფსისი არის ინფექციაზე სისტემური რეაგირება. აქედან გამომდინარე, პირველადი ეთიოლოგია შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც ინფექციურ პათოგენს, ისე მასპინძელი ორგანიზმის რეაქციას. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ ინფექციას შეუძლია სეფსისის პროვოცირება, ყველაზე გავრცელებული პათოგენებია ბაქტერიები, ვირუსები ან სოკოები. პათოგენის ტიპი დამოკიდებულია მასპინძელი ორგანიზმის სხვადასხვა ფაქტორზე, როგორიცაა ასაკი, თანმდევი დაავადებები და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. ქვემოთ ჩამოთვლილია ტიპური/მნიშვნელოვანი პათოგენები პაციენტთა ჯგუფის მიხედვით.

ადრეული ნეონატალური სეფსისი (EOS):[18] [7] [19] [20]


- განისაზღვრება როგორც ნეონატალური სეფსისი, რომელიც ვითარდება სიცოცხლის პირველ 72 საათში.
- B ჯგუფის სტრეპტოკოკი და გრამ უარყოფითი ბაცილები (განსაკუთრებით *Escherichia coli*) ჯერ-ჯერობით EOS ყველაზე გავრცელებული გამომწვევებია.
- ოქროსფერი სტაფილოკოკი და კოაგულაზა-უარყოფითი სტაფილოკოკი, ჰემოფილური ჩხირი (*Haemophilus influenzae*) და ბაქტერიული ეთიოლოგიიდან შემდეგ ყველაზე გავრცელებულია ენტეროკოკი ადრეული ნეონატალური სეფსისისას.
- ლისტერია (*Listeria monocytogenes*) იშვიათი ინფექციაა, თუმცა არაპროპორციული მიდრეკილება აქვს ორსული ქალებისა და მათი ნაყოფის დაინფიცირებისა. შეიძლება გამოიწვიოს ადრეული ნეონატალური ან გვიანი ნეონატალური სეფსისი.

გვიანი ნეონატალური სეფსისი (LOS):[18] [21] [8]

- განისაზღვრება, როგორც ნეონატალური სეფსისი, რომელიც ხდება სიცოცხლის პირველი 72 საათიდან 1 თვემდე ასაკში.
- კოაგულაზა-ნეგატიური სტაფილოკოკი წარმოადგენს გვიანი ნეონატალური სეფსისის ყველაზე ხშირ მიზეზს, ვასკულარულ-კათეტერ-ასოცირებული ინფექციებით მაღალი ინსიდენსის გამო, ჰოსპიტალიზებულ ახალშობილებში.
- ასევე შეიძლება გამომწვეული იყოს იგივე ორგანიზმებით, რომლებიც იწვევენ ადრეულ ნეონატალურ სეფსისს.

ჩვილები და მცირეწლოვანი ბავშვები:[4] [12][22]

- *Streptococcus pneumoniae* რჩება ბავშვებში ბაქტერიული ინფექციის მთავარ გამომწვევ მიზეზად.
- *Neisseria meningitidis* არის ასაკის ბიომოლდულური გავრცელება, ვითარდება ბავშვებსა და მოზრდილებში. ნაკლებად გავრცელებულია ვაქცინაციის მიღების შემდეგ.
- *S aureus* და A ჯგუფის სტრეპტოკოკს ორივეს შეუძლია გამოიწვიოს მძიმე ფორმის სეფსისი მანამდე ჯანმრთელ ბავშვებში ჩვეულებრივზე მაღალი შეტყობინებები ქუთრუშას ცხელებისა და ინვაზიური A ჯგუფის სტრეპტოკოკის (iGAS) დაავადების შესახებ დაფიქსირდა ინგლისში 2022-2023 სეზონში.[23]
- *H influenzae b* ტიპი არის სეფსისის გავრცელებული გამომწვევი მსოფლიოს მაშტაბით, მაგრამ ვაქცინაციიდან გამომდინარე იშვიათია.
- *Bordetella pertussis* -ყვიანახველას გამომწვევი ბაქტერია მიუხედავად იმისა, რომ იშვიათია.
- მონაცემები კონკრეტული ინფექციური ორგანიზმების შესახებ რესურსის უკმარისობის პირობებში ნაკლებსარწმუნოა, მაგრამ ღიარეა და პნევმონია არის ყველაზე გავრცელებული ინფექციური დაავადებები (და სიკვდილის გამომწვევი მიზეზი)



გრამის წესით შეღებილი Streptococcus სახეობის ბაქტერიების მიკროფოტოგრაფია.
გამოსახულება მოწოდებულია აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის
ცენტრის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამოსახულებების ბიბლიოთეკის მიერ

ჩვილებისა და ბავშვების ჰოსპიტალიზაცია:[24]

- საავადმყოფოში შეძენილი ინფექციების გამომწვევი მიზეზი დამოკიდებულია ადგილობრივ ბაქტერიულ ეპიდემიოლოგიაზე
- კოაგულაზა -ნეგატიური სტაფილოკოკი როგორც წესი დაკავშირებულია ვასკულარულ კათეტერის ინფექციასთან
- მეთიცილინ -რეზისტენტული S aureus ნაკლებადაა გავრცელებული გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-სთან შედარებით.
- Pseudomonas aeruginosa, Klebsiella, E coli, and Acinetobacter სახეობები.

ასპლენია ან ფუნქციური ასპლენია:[25] [26]

- სალმონელური სეფსისი, მათ შორის სალმონელური ოსტეომიელიტი ნამგლისებრუჯრედოვანი დაავადებისას
- სხვა ინკუბირებული ორგანიზმები (მაგ: S pneumoniae, H influenzae).

კოლოებით/მოსკიტებით გადამტანი და სხვა ტროპიკული დაავადებები:[27]

- მალარია (Plasmodium falciparum), დენგეს ვირუსი და Burkholderia pseudomallei (მელიოდოზი) ენდემურ ზონებში მძიმე ფორმის სეფსისის მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზია.

სხვა ორგანიზმები:[13]

- კანდიდა სახეობები, ასპერგილუსის სახეობები) და ვირუსული (მაგ: ინფლუენზა, რესპირატორული სიცხითური ვირუსი, ადამიანის მეტაპნევმოვირუსი, ვარიცელა და ჰერპეს სიმპლექს ვირუსი) პათოგენები შეადგენს 5.3 % და ბავშვებში მძიმე ფორმის სეფსისის 2.9%.

პათოფიზიოლოგია

ინფექციაზე მასპინძელი ორგანიზმის ნორმალური პასუხი არის ანთებითი პროცესი, რომლის მიზანია ინფექციის ლოკალიზაცია და კონტროლი. ანთებითი პასუხი ირთვება როდესაც თანდაყოლილი იმუნური უჯრედები (მაგ: მაკროფაგები) ამოიცნობენ ინვაზირებულ პათოგენს. მაგალითად, გრამ უარყოფითი ბაქტერიის ლიპოპოლისაქარიდების ამოცნობა ხდება თანდაყოლილი იმუნური უჯრედების რეცეპტორების მიერ.[28] ამ ადგილებთან დაკავშირების შემდეგ, იმუნური უჯრედები აქტიურდებიან და გამოყოფენ პროანთებით ციტოკინებს, რომლებიც იწვევენ პოლიმორფონუკლეური უჯრედების შეგროვებას ინფექციის ადგილას. პოლიმორფონუკლეარული უჯრედები გამოყოფენ პრო ანთებით ციტოკინებს, რაც იწვევს ვაზოდილატაციასა და ვასკულარულ განვლადობას (კაპილარული გაჟონვა).[28] მასპინძელი ორგანიზმის ნორმალური პასუხისას, პრო ანთებითი პასუხები რეგულირდება და ლოკალიზდება იმავდროული ანტი-ანთებითი პასუხით.[28] სეფსისი ვითარდება, როდესაც მასპინძელი ორგანიზმის ნორმალური, პრო-ანთებითი პასუხი აღემატება მის ჩვეულ ჰომეოსტაზურ შეზღუდვებს და ხდება გენერალიზებული პროცესი, რაც იწვევს ანთების განვითარებას ინფექციური წყაროდან შორს.

მიუხედავად იმისა, რომ სეფსისი ეს მოდელი ინტუიციურად გასაგებია, ახალი კვლევის შედეგებით ნაგარაუდებია, რომ ეს შეიძლება იყოს ზედმეტად გამარტივებული. პათოფიზიოლოგია შეიძლება მოიცავდეს ისეთ პროცესებს, როგორიცაა ენდოთელიუმის დისფუნქცია, უჯრედების სიკვდილი, ბიოენერგეტიკული დარღვევა და იმუნოპარალიზი.

ენდოთელიუმის დისფუნქცია:

- ენდოთელიუმი ამოფენს მთლიანად კარდიოვასკულარულ სისტემას და პასუხისმგებელია სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პასუხებზე (მაგ: სისხლძარღვთა ტონუსის კონტროლი და კოაგულაციის რეგულაცია) რათა მოხდეს სისხლის შესაფერისი დინება და ორგანოებისთვის ჟანგბადის მიწოდება. ენდოთელიური ფუნქციის დარღვევა და აბერაცია საფუძვლად უდევს სეფსისის ბევრ კარდიოვასკულარულ გამოვლინებას.[28] ანთებითი ციტოკინები და ეფექტორული უჯრედები (მაგ: ნეიტროფილები) სეფსისის დროს ურთიერთქმედებს ენდოთელიუმთან; შედეგად წარმოქმნილი აქტივირებული ენდოთელიუმი ასრულებს ბევრ სისტემურ ეფექტს. ეს ცვლილებები მოიცავს ფართოდ გავრცელებულ კაპილარებიდან გაჟონვას (ანუ კაპილარების განვლადობის მომატება). ამას თავის მხრივ მიყვარათ ქსოვილების შეშუპებასთან და მოცირკულირე სითხის მოცულობის შემცირებასთან. ამან შეიძლება გამოიწვიოს ან გაამწვავოს შოკი (ჰიპოვოლემიის გამო) და ორგანოთა დისფუნქცია.[28] ენდოთელიუმი პასუხისმგებელია აზოტის ოქსიდის გამოთავისუფლებაზე, რომელიც არის ძლიერი ვაზოდილატატორი. აზოტის ოქსიდის როლი ნორმალურ ჯანმრთელ ადამიანში არის მოთხოვნილების შესაბამისად რეგიონალური სისხლის მიმოქცევის ცვლილების დარეგულირება. სეფსისისას, დაზიანებულმა, აქტიურმა ენდოთელიუმმა შეიძლება გამოყოს დიდი რაოდენობით აზოტის ოქსიდი სისტემურად, რაც იწვევს ვაზოდილატაციას და ვასკულარული რეგისტენტობის შემცირებას.[29] კოაგულაცია ხშირად დარღვეულია სეფსისისას, რომლის შედეგადაც ხდება კოაგულაციის გზების გააქტიურება აქტივირებული ენდოთელიუმით.[28] ტიპური სურათია დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედეგება (თრომბოციტების დასუსტება და გახანგრძლივებული შედეგება). კლინიკური გამოვლინებაა ორგანოს იმემური დისფუნქციის კომბინაცია, რომელიც ხდება სისხლძარღვშიდა შედეგებისა და სისხლდენის გამო.

- სისხლის მიმოქცევაზე სეფსისის მიკროცირკულარული ეფექტების გარდა, მოცირკულირე მედიატორების პირდაპირი ზემოქმედება გულზე აქვეითებს მიოკარდიუმის მუშაობის ეფექტურობას, რაც ხელს უწყობს გულის წუთმოცულობის შემცირებას და შოკის განვითარებას.[30]

უტრედის კვლევა:

- სეფსისისას უტრედების კვლევის ზუსტი მექანიზმი კვლავ შესწავლის პროცესშია და შემდგომი კვლევები საჭირო. ზოგადი განმარტებით, სეფსისის დროს უტრედების კვლევა ხდება ნეკროზისა და აპოპტოზის კომბინაციის გამო. თითოეული ამ მექანიზმის ზუსტი წვლილი სეფსისის უტრედების სიკვდილში, განიხილება.[31]
- აპოპტოზური მექანიზმის ცდომილებები აღწერილია სეფსისისას რამდენიმე ტიპის უტრედში. თანდაყოლილ იმუნურ უტრედებში (მაგ: ნეიტროფილები და მაკროფაგები) დაყოვნებულმა აპოპტოზმა შეიძლება განაპირობოს დავვიანებული პრო ანთებითი პასუხები. სეპტიურ პაციენტებში აღწერილია ლიმფოციტებში აპოპტოზის გაზრდილი სიხშირე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შეძენილი იმუნოსუპრესია.[31]

ბიოენერგეტიკული დარღვევა:

- სეფსისის დროს ორგანოს უკმარისობა მთლიანად არ არის დაკავშირებული ზემოთ აღწერილ ცირკულატორულ ეფექტებთან. სეპტიკური შოკის სხვა მახასიათებელია ბიო-ენერგიული უკმარისობა, რომელიც ვითარდება ჟანგბადის შემცირებული უტრედული მოხმარების გამო. ეს შეიძლება მიტოქონდრიული ფუნქციის (სუნთქვა) პირდაპირი ინჰიბირების შედეგი იყოს ანთებითი მედიატორების მიერ, როგორიცაა ამოტის ოქსიდი.[32]
- ამ პასუხის წარმომავლობა უცნობია, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ სეფსისის დროს მიტოქონდრიული დისფუნქცია და ენერგიის უკმარისობა არის ადაპტაციური პასუხი.[33]

იმუნოპარალიზი:

- გარდა სისტემური პრო-ანთებითი პასუხებისა, სეფსისის დროს მასპინძელი ორგანიზმის პასუხი შეიცავს თანმხლებ, ანთების საწინააღმდეგო პასუხს. ეს განხილულია როგორც კომპენსატორული ანთების საწინააღმდეგო პასუხის სინდრომი.[34]
- ამ პასუხის ევოლუციური წარმოშობა შეიძლება იყოს მარეგულირებელი ან შეძენილი პასუხი რათა შეაჩეროს და აკონტროლოს პრო-ანთებითი რეაქცია.[35]
- კომპენსატორული ანთების საწინააღმდეგო პასუხის სინდრომის სავარაუდო ეფექტია მასპინძელი ორგანიზმის იმუნური სისტემის მოდულაცია, რაც ცნობილია როგორც იმუნოპარალიზი. ამან შეიძლება განაპირობოს მასპინძელი ორგანიზმის მეორეული ინფექციებისადმი მგრძნობელობის მომატება.[36] [37]

მონაცემები მიუთითებს რომ პაციენტის მასპინძელ პასუხში არის მნიშვნელოვანი ჰეტეროგენურობა. ეს ჰეტეროგენურობა იყენებს პრო- და ანტი-ანთებითი პასუხების ბალანსირებას, ჰუმორალური და უტრედული ცვლილებების ბუნებას[38]

კლასიფიკაცია

ნეონატალური სეფსისის კლასიფიკაცია

ნეონატალური სეფსისი განსაზღვრულია, როგორც სეფსისის კლინიკური სინდრომი და/ან სისხლის ნაკადიდან პათოგენის იზოლაცია ჩვილში სიცოცხლის პირველი 28 დღის განმავლობაში.[6] სიმპტომები და კლინიკური ნიშნები ხშირად ნაკლებად აშკარა ან უფრო დახვეწილია, ვიდრე უფროს ბავშვებში.

ახალშობილებში სეფსისი ჩვეულებრივ კლასიფიცირდება დაბადებასთან დაკავშირებით დაწყების დროის მიხედვით:

- ადრეული ნეონატალური სეფსისი: ნეონატალური სეფსისი, რომელიც ხდება სიცოცხლის პირველი 72 საათის განმავლობაში.[7]
- გვიანი ნეონატალური სეფსისი: ნეონატალური სეფსისი, რომელიც ხდება სიცოცხლის პირველი 72 საათის შემდეგ.[8]

კლასიფიკაცია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

ფიზიოლოგიური ვარიაციებისა და ლაბორატორიული მონაცემების შეფასებისას ნორმალურ დიაპაზონთან მიმართებაში, გამოიყენება შეთანხმებული კლასიფიკაციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფები:[3]

- ადრეული ნეონატალური პერიოდი: 0 დღიდან 1 კვირამდე
- გვიანი ნეონატალური პერიოდი: 1 კვირიდან 1 თვემდე
- ჩვილი: 1 თვიდან < 2 წლამდე
- პატარა ბავშვი და სკოლამდელი: ≥ 2 წლიდან < 6 წლამდე
- სასკოლო ასაკის ბავშვი: ≥ 6 წლიდან < 13 წლამდე
- მოზარდი და ახალგაზრდა მოზარდი: ≥ 13 წლიდან < 18 წლამდე.

აღსანიშნავია რომ დღენაკლული ჩვილები არ შედის ამ ასაკობრივ კლასიფიკაციაში.

შემთხვევის ანამნეზი

შემთხვევის ანამნეზი #1

მანამდე ჯანმრთელი, 1 წლის გოგონა შემოდის გადაუდებელ სამედიცინო დახმარების დეპარტამენტში ლეთარგიის და ცხელების 24 საათიანი ანამნეზით. მას ბოლო დროს ჰქონდა სიმპტომები, რომლებიც მიუთითებს ზედა რესპირატორული ტრაქტის ვირუსულ ინფექციაზე. მშობლები აღნიშნავენ რომ გამოვლინებამდე რამდენიმე საათით ადრე იყო მივარდნილი და ძნელად ფხიზლდებოდა. ასევე აღნიშნავენ რომ შენიშნეს გამონაყარი, რომელიც განვითარდა ტანზე და ზედა კიდურებზე სიმპტომების გამოვლენამდე ცოტა ხნით ადრე. საწყისი შეფასებისას დადგინდა შემდეგი მახასიათებლები: ცნობიერების დონის დაქვეითება (რეაგირება მხოლოდ ტკივილის სტიმულებზე); ტაქიკარდია (გულისცემა 190 წუთში); კაპილარული ავსების დროის გახანგრძლივება (> 5 წამი პერიფერიულად); ცივი პერიფერია (სხეულისა და ქვედა კიდურის ტემპერატურული სხვაობა $> 10^{\circ}\text{C}$ [$> 18^{\circ}\text{F}$]); ცხელება (სხეულის ტემპერატურა 39°C [102°F]); ტაქიპნოე (სუნთქვის სიხშირე 40 წთ-ში) და ხიხინი ამოსუნთქვისას; ფართოდ გავრცელებული, პურპურული გამონაყარი ტანსა და კიდურებზე, რომელიც ხელის დაჭერით არ ფერმკრთალდება.

შემთხვევის ანამნეზი #2

2 კვირის ასაკის დღენაკლულ -ახალშობილ ბიჭს განუვითარდა გარდამავალი აპნოეს და ბრადიკარდიის ეპიზოდები ნეონატალური ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ყოფნისას. იგი დაიბადა ორსულობის 30-ე კვირაზე ვადამდელი მშობიარობის სპონტანური დაწყების შედეგად. მას ესაჭიროებოდა ინტუბაცია და მექანიკური ვენტილაცია დაბადების შემდეგ 48 საათის განმავლობაში ნეონატალური რესპირატორული დისტრეს სინდრომის გამო. ამ დროის განმავლობაში შეუყვანეს

სურფანქტანის სტანდარტული დოზა. მას ესაჭიროებოდა რესპირატორული მხარდაჭერა სასუნთქ გზებში უწყვეტი დადებითი წნევით ექსტუბაციიდან 1 კვირის შემდეგ და ხანგამოშვებით მიენოდებოდა მაღალი ნაკადის ჟანგბადი ამ მოვლენის დროს. კანქვეშა ცენტრალური ვენური კათეტერით (გრძელი-მილი) პარენტერალური კვების შემდეგ, იგი გადაიყვანეს სრულ ენტერალურ კვებაზე. ამ მოვლენის დროს კათეტერი ისევ მოთავსებული იყო და იგეგმებოდა მისი ამოღება იმ დღეს. გარდა აპნოესა და ბრადიკარდიისა, გამოხატული იყო ტემპერატურის არასტაბილურობა და კაპილარული ავსების დროის გახანგრძლივება (>3 წამი); ორივე ეს მაჩვენებელი განსხვავებული იყო წინა დაკვირვებებისგან.

სხვა გამოვლინებები

სეფსისის ტიპური გამოვლინება ვარირებს ბავშვის ასაკის მიხედვით. მაშინ როდესაც უფროსი ასაკის ბავშვებს აქვთ ინფექციის კერა, ჩვილებსა და ახალშობილებს, ჩვეულებრივ, აქვთ არასპეციფიკური სიმპტომები და ნიშნები. მაგალითად: დღენაკლულ ჩვილებში სეფსისის ადრეული ნიშნები ხშირად არის აპნოე და ბრადიკარდია.[9] ახალშობილებში, მათ შორის დღენაკლულებში პაციენტის დაკვირვებისას ნორმალური ნიშნების ნებისმიერმა ცვლილებამ უნდა გაზარდოს სეფსისის არსებობის შესახებ ეჭვი.

სეპტიკური შოკი ძირითადად ვლინდება, როგორც ვაზოკონსტრიქციული ("ცივი"), ფართო პერიფერიული ვაზოკონსტრიქციითა და მიოკარდიუმის შეკუმშვის დარღვევით. თუმცა, მეორე გამოვლინებაა ვაზოდილატაციური ("თბილი") შოკი, რომელიც ხასიათდება სისტემური ვაზოპლეგიით (დილატირებული პერიფერიული სისხლძარღვები და უეცარი/მყისიერი კაპილარული შეკუმშვა) გულის მაღალი წუთმოცულობითა და გაძლიერებული პულსით. კვლევები მიუთითებს რომ გამოვლინების ეს ფორმა უფრო ხშირია პოსპიტალური სეფსისის დროს.[10]

მიდგომა

სეფსისის ადრეული ამოცნობა მნიშვნელოვანია, რადგან ადრეული მკურნალობა, როდესაც სეფსისი სავარაუდოა, მაგრამ ჯერ კიდევ დადასტურებული არ არის, დაკავშირებულია შედეგების მხრივ მნიშვნელოვან მოკლევადიან და გრძელვადიან სარგებელთან.[5] [48] [56]

ამოცნობა შეიძლება გართულდეს, ვინაიდან სეფსისის კლინიკური გამოვლინება შეიძლება მსუბუქი და არასპეციფიკური იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია სეფსისზე ეჭვის მიტანის დაბალი ზღურბლის დანერგვა. მიზანია, შესაძლო სეფსისამდე მდგომარეობის გაუარესების რისკის მქონეთა იდენტიფიცირება სეფსისის განვითარებამდე. ზოგადად, სეფსისი უნდა განიხილებოდეს სისტემური პასუხის ნიშნების შემცველი ინფექციის საეჭვო შემთხვევის მქონე ყველა ბავშვში. ეს შეიძლება გამოვლინდეს ბავშვის ნორმალური ქცევის ცვლილებით.[22] [48] მშობლის შემფოთება ბავშვის ქცევასა ან მდგომარეობასთან დაკავშირებით, ყოველთვის უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორც მნიშვნელოვანი ინდიკატორი.[48]

მაშინაც კი, როდესაც სეფსისის დიაგნოზი გამოვლინების დროს ნაკლებად სავარაუდოა, მშობლებისთვის ან მზრუნველებისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ჩამოთვლილს:[48]

- სპეციალური ინსტრუქცია შემდგომი რჩევების მისაღებად, თუ ვითარდება გამაფრთხილებელი სიმპტომები ან თუ პაციენტის მდგომარეობა უარესდება,
- მითითებით, თუ როდის და როგორ უნდა მიიღონ შემდგომი მოვლა ("უსაფრთხოების ქსელი").

სეფსისის საწყისი გამოვლინება შეიძლება იყოს არასპეციფიკური, არა ლოკალიზებული სიმპტომებით, როგორიცაა ზოგადად ცუდად ყოფნა ნორმალური ტემპერატურის ფონზე. თუ ბავშვი შემოდის ნიშნით ან სიმპტომებით, რომლებიც მიუთითებს შესაძლო ინფექციაზე, ტემპერატურის მიუხედავად, სეფსისი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.[48] საწყისი შეფასება მოიცავს ინფექციის სავარაუდო წყაროს იდენტიფიცირებას, სეფსისის რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებას (მაგ., ძალიან ახალგაზრდა <1 წელი; ბოლოდროინდელი ტრავმა, ოპერაცია ან ინვაზიური პროცედურა; ავადმყოფობის ან მედიკამენტების გამო დაქვეითებული იმუნიტეტი;

მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიული ტესტები (მაგ., სისხლის კულტურები, ბიომარკერები) სასარგებლოა დიაგნოზის დასადგენად, დიაგნოზი თავდაპირველად კლინიკური განსჯის გამოყენებით უნდა დაისვას. საერთაშორისოდ შეთანხმებული გაიდლაინების დიაგნოსტიკური კრიტერიუმები პირველ რიგში განიხილება, როგორც კვლევის კრიტერიუმები, რომელიც შემუშავებულია არსებითი კვლევის გასაადვილებლად. კვლევის კრიტერიუმები და კლინიკური ანალიზი ყოველთვის არ შეესაბამება ერთმანეთს: კლინიკური სეფსისის მქონე პაციენტების ერთ მესამედამდე ნაწილი არ აკმაყოფილებს კვლევის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს.[57]

ამიტომ, მძიმე სეფსისის და სეპტიური შოკის დროისადმი კრიტიკული ხასიათის გათვალისწინებით, როცა ეჭვია კლინიკური მონაცემების საფუძველზე სეფსისზე, ჩვეულებრივ ჯობია დაიწყო კვლევა და მკურნალობა სეფსისისა და გაგრძელდეს მანამდე, სანამ სეფსისი არ გამოირიცხება.

სეფსისზე კლინიკური ეჭვი.

ტიპურად ვარიანტებს ბავშვის ასაკის მიხედვით. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ უფროსი ასაკის ბავშვებს შეიძლება ქონდეთ ინფექციის კერა, ხოლო ჩვილებსა და ახალშობილებს აღენიშნებათ არასპეციფიკური სიმპტომები და ნიშნები

უფროსი ასაკის ჩვილებში და ბავშვებში, სეფსისი, როგორც წესი, ვლინდება სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის (SIRS) ნიშნებით, რომლის ყველაზე ხშირი ნიშანი ცხელებაა. SIRS არის გენერალიზებული ანთებითი რეაქცია, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილი 2 ან მეტი კრიტერიუმის

არსებობით (ერთ-ერთი კრიტერიუმი უნდა იყოს არანორმალური ტემპერატურა ან ლეიკოციტების პათოლოგიური რაოდენობა):[3]

- არანორმალური სხეულის შიდა ტემპერატურა ($<36^{\circ}\text{C}$ ან $>38.5^{\circ}\text{C}$ [$<97^{\circ}\text{F}$ ან $>101^{\circ}\text{F}$])
- პათოლოგიური გულისცემა (>2 სტანდარტული გადახრა ასაკობრივი ნორმის ზემოთ ან <10 პერცენტილი ასაკისთვის, თუ ბავშვი არის <1 წლის)
- გახშირებული სუნთქვა (>2 სტანდარტული გადახრა ასაკობრივი ნორმის ზემოთ ან ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია ფილტვის მწვავე დაავადების დროს)
- სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის პათოლოგიური ცვლილება (მომატებული ან დაკლებული რაოდენობა ასაკობრივ ნორმალურ დიაპაზონთან შედარებით, ან $>10\%$ სისხლის მოუმწიფებელი თეთრი უჯრედები).

მიუხედავად იმისა, რომ ეს არ შედის SIRS-ის დეფინიციაში, შეცვლილი მენტალური სტატუსი (მაგ., ძილიანობა, გაღიზიანებადობა, ლეთარგია, კუნთების სისუსტე, ცნობიერების დონის დაქვეითება) ან პერიფერიული პერფუზიის შემცირება (მაგ., კაპილარული ავსების დროის გახანგრძლივება) შეიძლება ასევე იყოს ადრეული სეფსისის ნიშნები.[58]

სეფსისის დიაგნოსტიკისთვის შეჯამებულ კრიტერიუმში მოცემულია რომ სხეულის შიდა ტემპერატურა უნდა აჭარბებდეს 38.5°C (101°F).[3] თუმცა, დაბალი ზღურბლი საჭიროა ნეიტროპენიურ პაციენტებში, როდესაც სეფსისი განსახილველია მაშინაც თუ სხეულის ტემპერატურა არის $>38^{\circ}\text{C}$ ($>100^{\circ}\text{F}$).

უმცროსი ასაკის ჩვილებში, დროულ და დღენაკლულ ახალშობილებში სეფსისის სიმპტომები და ნიშნები ხშირად ბუნდოვანი და არასპეციფიკურია, ამიტომ საჭიროა დიაგნოსტიკური ზღურბლის დანერგვა. ამ ასაკობრივ ჯგუფში სეფსისი თავდაპირველად ვლინდება, როგორც ბავშვის დაკვირვებისას ნორმალური მდგომარეობიდან გადახრა. მაგალითად, დღენაკლულ ჩვილს ნეონატალურ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში შეიძლება ჰქონდეს ბრადიკარდიის ეპიზოდები, აპნოეს გამოვლინება ან საკვების აუტანლობა როგორც სეფსისის პირველი ნიშნები. უფროსი ასაკის ბავშვებში, ასევე საჭიროა სეფსისის დიაგნოსტიკის დაბალი ზღურბლის შენარჩუნება თუ მწვავე ავადმყოფობის მიზეზი სრულად არ იხსნება.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში, სეფსისის პროგრესირებისას პაციენტს შეიძლება განუვარდეს სეფსისის მძიმე ფორმა ან სეპტიკური შოკი. სეპტიკური შოკი შეიძლება გამოვლინდეს 2 ძირითადი კლინიკური სურათით: ვაზოკონსტრიქციული („ცივი“) და ვაზოდილატაციური („თბილი“) შოკი.

ვაზოკონსტრიქციული შოკი:

- ეს არაჰოსპიტალური სეფსისის უფრო გავრცელებული გამოვლინებაა ჩვილებში და მცირეწლოვან ბავშვებში.[10]
- კლინიკური გამოვლინება ხასიათდება პერიფერიული სისტემური სისხლძარღვების შევიწროებით, რაც იწვევს პერიფერიულ ზედაპირის გაციებას, (ცივი კიდურები აჭრელებული კანი), კაპილარული ავსების დროის გახანგრძლივებას, ცენტრალურ-პერიფერიული გრადიენტის გაზრდას და სუსტ პულსს.[3]
- სისხლის არტერიული წნევა ჩვეულებრივ შენარჩუნებულია (ან შეიძლება იყოს მაღალი) თუ პაციენტი მომაკვდავი არ არის, მაგრამ ჩვეულებრივი პაციენტს აწუხებს ტაქიკარდია.
- ძირითად პრობლემას წარმოადგენს გულის დაბალი წუთმოცულობა, მეორადი მيوკარდიუმის კუმშვადობის დარღვევასთან მიმართებაში რაც იწვევს გულის დაბალ წუთმოცულობასა და პერიფერიულ ვაზოკონსტრიქციას.

ვაზოდილატაციური შოკი:

- ვაზოდilatაციური შოკის კლინიკური სურათი ხასიათდება ვაზოპლევგიით, რომლის დროსაც სისტემური ვასკულარული რეგისტრაცია დაბალია, შესაბამისად კაპილარული ავსების დრო აჩქარებულია ("flash" - მყისიერი კაპილარული ავსების დრო), ხოლო პერიფერიული პულსაცია ჩვეულებრივ კარგი ავსების ან ძაფისებური.
- პულსური წნევა მაღალია (სისხლის დაბალი დიასტოლური წნევის გამო) და პაციენტებს როგორც წესი აქვთ ტაქიკარდია.
- გულის წუთმოცულობის თვალსაზრისით, ეს ხშირად არის გაზრდილი გულის წუთმოცულობის მდგომარეობა, მაგრამ პაციენტი იქნება შოკში ნაწილობრივ გაზრდილი/გაფართოებული ცირკულაციის გამო (სისტემურ სისხლძარღვთა ქსელის დილატაციის გზით) კარდიალური განდევნის ფრაქციის მოცულობის მიუხედავად
- ცაზოდilatაციური შოკი უფრო მეტად გავრცელებულია სეფსისის მქონე უფროსი ასაკის ბავშვებში (და მოზრდილებში) და შეიძლება უფრო ხშირი იყოს ჰოსპიტალში შეძენილი სეფსისის დროს.[10]

მხოლოდ კლინიკური ნიშნების გამოყენება ამ მდგომარეობების გასარჩევად აღარ არის რეკომენდებული, რადგან ობსერვაციულმა კვლევებმა აჩვენა კლინიკური შეფასებების ცუდი კორელაცია გულის წუთმოცულობასა და სისხლძარღვთა სისტემურ რეგისტრაციას შორის, რომელიც მოწმდება კომპლექსური მონიტორინგით. თუმცა, მათი განსხვავება შეიძლება იყოს გამოსადეგი, როდესაც ხელმისაწვდომია კომპლექსური ჰემოდინამიკური მონიტორინგი.[5]

ორივე შოკის დროს პაციენტს აქვს კარდიოვასკულარული სისტემის გარეთ მიმდინარე შოკის კლინიკური ნიშნები, ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის ნევროლოგიური ფუნქცია. ეს შეიძლება გამოვლინდეს როგორც გაღიზიანებადობით ჩვილებში და ახალშობილებში, აპნოე ახალშობილებში და დღენაკლულ ჩვილებში და ლეთარგია, მივარდნილობა ან დელირიუმი უფროს ბავშვებში.

ბავშვებსა და ახალგაზრდებს ხშირად შენარჩუნებული აქვთ სისხლის ნორმალური წნევა შოკის გვიან სტადიებზეც კი; შესაბამისად სისხლის ნორმალური წნევა არ გამოორიცხავს სეფსისის არსებობას. ჰიპოტენზია ხშირად სეპტიკური შოკის ტერმინალური ნიშანია. ≥ 12 წლის ბავშვებში სისხლის სისტოლური წნევა < 90 მმ ვწყ სვ ან სისხლის სისტოლური წნევის შემცირება ზღვრულიდან > 40 მმ ვწყ სვ-ით არის სეფსისის მაღალი რისკის კრიტერიუმი.[48]

ელვისებრი პურპურა გავრცელებული პურპრული გამონაყარია, რომელიც დაჭერით არ ფერმკრთალდება, კლასიკურად გვხვდება მენინგოკოკემიის დროს, მაგრამ ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს *Streptococcus pneumoniae* გამონეული სეფსისის მძიმე ფორმასთან.

შარდის შემცირებული გამოყოფა გავრცელებულია მწვავე ავადმყოფობის მქონე ბავშვებში და ხშირად აღწერს დეჰიდრატაციის ხარისხს (სითხის მცირე რაოდენობით მიღების, სითხის დიდი რაოდენობით კარგვის ან ორივეს გამო). ეს არ არის სეფსისის სპეციფიკური გამოვლინება, მაგრამ ხშირად წარმოდგენილია, განსაკუთრებით მაშინ თუ სეფსისის გამოვლინებამდე არსებობდა პროდრომალური ვირუსული ავადმყოფობა.

სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომის და ორგანოთა თანმიმდევრული უკმარისობის შეფასების საერთაშორისოდ შეთანხმებული გაიდლაინებით რეკომენდებულ ჯანდაცვის და კლინიკური დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტი რეკომენდაციას უწევს, რისკის სტრატეგიკაციის მიდგომას იმ პაციენტების აღრეული იდენტიფიცირებისთვის (ბავშვების და ახალშობილების ჩათვლით), რომელთაც აქვთ დაბალი, ზომიერიდან მაღალ რისკამდე ან მაღალი რისკი, ან სეფსისისგან მძიმე ავადმყოფობის და სიკვდილის მაღალი რისკი, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:[48]

- ანამნეზი (შეცვლილი მენტალური სტატუსი; დაქვეითებული ფუნქციური უნარები; დაქვეითებული იმუნიტეტი; ან უახლოეს წარსულში გადატანილი ტრავმა, ქირურგიული ჩარევა ან ინვაზიური პროცედურა)
- ქცევა (შეცვლილი ქცევა; აქტივობის დაქვეითება, ძილიანობა და ვერ ფხიზლდება; სოციალურ სტიმულზე არა აქვს რეაქცია (ახალშობილები და ჩვილები); სუსტი მაღალი ტონები ან უწყვეტი ტირილი (ახალშობილები და ჩვილები))
- რესპირატორული (აპნოე; ხმაურიანი სუნთქვა, ცხვირის ნესცთობის ბერვა; მომატებული სუნთქვის სიხშირე, ჟანგბადის საჭიროება რათა მოხდეს სატურაციის შენარჩუნება)
- ცირკულაცია და ჰიდრატაცია (სისხლის სისტოლური წნევის შემცირება; შემცირებული კაპილარის ავსების დროს; მომატებული გულისცემის სიხშირე; შარდის გამოყოფის შემცირება)
- კანი (ინფექციის ნიშნები; აჭრელებული ან ფერმკრთალი/ნაცრისფერი შეხედულება; კანის, ტუჩების ან ენის ციანოზი; კანზე გამოხატული რომელიც არ უფერულდება დაჭერით)
- სხვა (ტკივილი ფეხებში; ცივი კიდურები).

NICE გაიდლაინები უზრუნველყოფს შემდგომ რეკომენდაციებს საავადმყოფოში კლინიკური შეფასებისა და ლაბორატორიული კვლევებისთვის (მაგ., ვენური სისხლის ტესტი სისხლის აირებზე, გლუკოზის და ლაქტატის შემოწმების ჩათვლით; სისხლის კულტურა; სისხლის საერთო ანალიზი; C-რეაქტიული ცილა, შარდის საერთო ანალიზი, შარდის კულტურა, სისხლის შრატის ელექტროლიტები, შრატის კრეატინინი; და კოაგულაცია) რაც დამოკიდებულია პაციენტის რისკის პროფილსა და სიმპტომებზე.[48]

ბრიტანეთის ჯანმრთელობისა და კლინიკური დახელოვნების ნაციონალური ინსტიტუტმა (NICE) აგრეთვე შეიმუშავა შექმნილი სისტემა კლინიკურ ნიშნებზე დაყრდნობით, რაც ეხმარება ექიმს შეაფასოს ცხელების მქონე მცირეწლოვან ბავშვებში დაავადების სერიოზულობა. [NICE: traffic light system for identifying risk of serious illness] (<https://www.nice.org.uk/guidance/ng143/chapter/recommendations#table-1-traffic-light-system-for-identifying-risk-of-serious-illness>)

სისხლის კულტურები

არც ერთი ლაბორატორიული ტესტი ვერც დაადასტურებს და ვერც უარყოფს სეფსისის დიაგნოზს, მაგრამ ბევრ მათგანს შეუძლია მოგვანდოს დამატებითი სასარგებლო ინფორმაცია.

რამდენადაც სეფსისის მქონე ჩვილებისა და მცირეწლოვანი ბავშვებს აქვთ პირველადი ბაქტერიემია, სისხლის კულტურის კვლევა მნიშვნელოვანია.[7] [59] [60] ის უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება სწრაფად, როდესაც სავარაუდოა სეფსისი და, იდეალურ შემთხვევაში, ანტიბიოტიკების მიღებამდე; თუმცა ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპია არ უნდა დაყოვნდეს შედეგების მიღებამდე, თუ ეჭვია სეფსისზე.[5]

სისხლის კულტურის მგრძნობელობა პროპორციულია აღებული სისხლის მოცულობისა. ახალშობილებში პედიატრიული აერობული ბოთლის (ჭურჭელი სისხლის კულტურისათვის) გამოყენებისას, მინიმუმ 1 მლ სისხლი პერიფერიული ვენიდან პუნქციით ან ახალჩაყენებული კათეტერიდან (არტერიული ან ვენური) არის საჭირო რათა მოხდეს ბაქტერიემიის დიაგნოსტიკა.[7]

როდესაც გამოიყენება სტანდარტული ბოთლი აერობული კულტურისათვის, საჭიროა მინიმუმ 4 მლ სისხლი რათა დადასტურდეს უარყოფითი კულტურა 48 საათში. ინსტიტუციონალურ უპირატესობაზე დამოკიდებულებით, რამდენიმე კულტურა შეიძლება იყოს უმჯობესი, თუმცა მნიშვნელოვანია ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპია არ დაყოვნდეს შედეგების მიღებამდე. ზოგჯერ კულტურის აღებისას მიზანშეწონილია ორი კომპლექტის გამოყენება რათა ექიმმა აიღოს კულტურა სხვადასხვა ადგილიდან- მუდმივი ხაზიდან (მაგ: ცენტრალური ხაზი- მაგისტრალური სისხლძარღვები) და პერიფერიული ადგილიდან.

სისხლის კულტურის შედეგები უნდა გადაიხედოს ყოველ 12-24 საათში; დადებითი პასუხების უმეტესობა გამოვლინდება 48 საათში და ბევრი მათგანი შეიძლება დადებითი იყოს 24 საათის განმავლობაშიც.[61]

სხვა ნიმუშები მიკრობიოლოგიური კვლევისთვის

კლინიკურმა სურათმა უნდა მიანიშნოს ექიმს, რომ მხედველობაში მიიღოს სხვა მიკრობიოლოგიური ნიმუშები. მაგალითად, სავარაუდო მენინგიტის მქონე დროულ და დღენაკულ ახალშობილებში, ექიმმა მხედველობაში უნდა მიიღოს ლუმბალური პუნქციის ჩატარება (თავბურგეტინის სითხეში ცილის და გლუკოზის კონცენტრაციის განსასაზღვრად, მიკროსკოპიისთვის გრამის წესით შეღებვით და ბაქტერიული კულტურისთვის), როდესაც ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია და შეიძლება პროცედურის უსაფრთხოდ ჩატარება, ვინაიდან მენინგიტის კლინიკური ნიშნები ამ ასაკობრივ ჯგუფში, როგორც წესი, არ არის.[7] [44] NICE გაიდლაინები რეკომენდაციას უწევს ლუმბალური პუნქციის, თუ ეჭვია სეფსისზე <1 თვის ასაკის ახალშობილებში და ყველა ახალშობილში 1-3 თვის ასაკში, რომლებიც გამოიყურებიან ავადმყოფურად ან აქვთ ლეიკოციტების რაოდენობა $<5 \times 10^9/\text{ლ}$ ან $>15 \times 10^9/\text{ლ}$.[48] ლუმბალური პუნქცია, როგორც წესი, უკუნაჩვენებია მძიმე სეფსისის მქონე ბავშვებში, სანამ არ მოხდება პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაცია.

შარდის საერთო ანალიზი (შარდის ნიმუში ნიტრიტებზე, მიკროსკოპია, გრამის წესით შეღებვა და კულტურა) გათვალისწინებული უნდა იყოს სეფსისის მქონე ყველა ახალშობილებში (თუმცა სიცოცხლის პირველი კვირის განმავლობაში შარდის დადებითი კულტურა შეიძლება უბრალოდ ასახავდეს მძიმე ბაქტერიემიას). შარდის საერთო ანალიზი გათვალისწინებული უნდა იყოს უფროსი ასაკის ბავშვებში, რომელთა სიმპტომები მიუთითებს სამარადე გზების ინფექციაზე.

სხვა კლინიკური სიმპტომები და ნიშნები ექიმს მიუთითებს სპეციფიკურ მიკრობიოლოგიურ ნიმუშების აღებაზე. მაგალითად, მიკროსკოპისა და კულტურისთვის ბრონქოალვეოლური ამორეცხვის ნიმუში შეიძლება განიხილებოდეს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მყოფ ბავშვში საეჭვო ვენტილატორთან ასოცირებული პნევმონიით; სისხლი მენინგოკოკური პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) ანალიზისთვის შეიძლება ჩაითვალოს, რათა დაეხმაროს დიაგნოზის დადასტურებას მენინგოკოკური სეფსისის ორაზროვან კლინიკურ შემთხვევებში; შრატის სეროლოგია ან PCR რესპირატორული ან ოპორტუნიტული ვირუსებისთვის (მაგ., ადენოვირუსი, ციტომეგალოვირუსი, ჰერპეს სიმპლექსის ვირუსი) შეიძლება ჩაითვალოს იმუნოკომპრომიტირებულ ბავშვებში სეფსისით (მაგ., ნეიტროპენიული ბავშვი, რომელიც ღებულობს ქიმიოთერაპიას ლეიკემიისთვის). თუმცა, კლინიცისტებმა უნდა მიმართონ ადგილობრივ პროტოკოლებს ნიმუშების შეგროვებასა და ტესტირებასთან დაკავშირებით. განიხილეთ ჰერპეს სიმპლექსის ვირუსის PCR (სისხლი და ცერებროსპინალური სითხე), თუ შესაძლებელია ახალშობილთა მარტივი ჰერპესის ინფექცია და მიმართეთ ექსპერტს.[62]

მოუხედავად ადეკვატური მიკრობიოლოგიური ნიმუშისა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სეფსისის მქონე ბევრ ბავშვში ვერ მოხდება პათოგენის იდენტიფიცირება. ეს ცნობილია როგორც კულტურა-უარყოფითი სეფსისი.[63]

მოლეკულური გამოკვლევები აგრეთვე ინერგება პრაქტიკაში შედეგების სწრაფი მიღების უპირატესობით.[64] PhenoTest™ BC ნაკრებით შესაძლებელია ბაქტერიების 14 სახეობის და საფუარი სოკოს 2 სახეობის იდენტიფიცირება, რომლებიც ჩვეულებრივ იწვევს სისხლის ინფექციებს, ასევე ინფორმაციის მიღება ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობელობის შესახებ. ტესტი ადარებს ორგანიზმის ღმ-ს მონაცემთა ბაზასთან და შემდეგ იყენებს კადრების გამოსახულებებს ანტიბიოტიკებზე ორგანიზმის რეაქციის შესაფასებლად. მას შეუძლია 1,5 საათში დადებითი სისხლის კულტურის იდენტიფიცირება და 6,5 საათში ანტიბიოტიკებით მკურნალობის მართვა. თუმცა, ადგილი ჰქონია ცრუ დადებით შედეგებსაც.[65] ამჟამად კლინიკურ ტესტირებას გადის პათოგენის ადრეული აღმოჩენისა და ანტიმიკრობული მგრძნობელობის სწრაფი ანალიზის რიგი სხვა მეთოდები. ახლო მომავალში

ამ ანალიზებს შეიძლება დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს შესაძლო სეფსისის მქონე პაციენტების მკურნალობაში.

ბიომარკერები ორგანოს დისფუნქციისთვის

სეფსისის დიაგნოსტიკის და მონიტორინგის გარდა, ბიომარკერები აგერთვე სასარგებლოა ორგანოებზე სეფსისის სპეციფიკური გავლენის დიაგნოსტიკის და მონიტორინგისთვის. შემდეგი ლაბორატორიული გამოკვლევებია საჭირო სავარაუდო სეფსისის მქონე ბავშვებში:

- სისხლის აირები: მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებში იშვიათად მოწმდება არტერიული სისხლის აირები გადაუღებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში, ხშირად შესაძლებელია კლინიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება კაპილარული ან ვენური სისხლის აირებიდან. ჰიპერკაპნია ან ჰიპოქსემია გვეხმარება რესპირატორული დისფუნქციის დიაგნოსტიკაში. პულსოქსიმეტრია უნდა შესრულდეს, ვინაიდან ჩასუნთქული ჟანგბადის მაღალი ფრაქციის საჭიროება მიუთითებს სეფსისთან დაკავშირებულ რესპირატორულ უკმარისობაზე.
- შრატის ლაქტატი: შრატის ლაქტატის მომატება არის სეფსისის დაავადების სიმძიმის მარკერი. ეს გამოწვეულია ბეტა-ადრენორეცეპტორების სტიმულაციის შედეგად, ენდოგენური კატექოლამინების მიერ, რომლებიც არეგულირებენ გლიკოლიზს, რაც იწვევს პირუვატის დიდი რაოდენობით წარმოებას. ეს წარმოება აღემატება ტრიკარბოქსილის მუავას ციკლის გამოყენების შესაძლებლობებს და ჭარბი პირუვატი გარდაიქმნება ლაქტატად. ლაქტატი ხშირად მატულობს მძიმე სეფსისის ან სეპტიური შოკის დროს. გარკვეულ სიტუაციებში ლაქტატემია შეიძლება იყოს ჟანგბადის მიწოდების შემცირება.[66]
- სისხლის შრატში ელექტროლიტების შემცველობა ხშირად დარღვეულია.
- შრატის კრეატინინი: შრატის მომატებული კრეატინინი მიუთითებს თირკმლის უკმარისობაზე.[3]
- ღვიძლის ფუნქციის ტესტები: მომატებული ბილირუბინი და/ან მომატებული ალანინამინოტრანსფერაზა/ასპარტატამინოტრანსფერაზა მიუთითებს ღვიძლის დისფუნქციაზე.[3]
- კოაგულაციის კვლევა: სეფსისის და თრომბოციტოპენიის კონტექსტში, საერთაშორისო ნორმალიზებული თანაფარდობა >2 , პროლონგირებული აქტივირებული ნაწილობრივი თრომბოპლასტინის დრო, ფიბრინოგენის დონის შემცირება და D დიმერის მომატება მიუთითებს დისემინირებულ სისხლძარღვშიდა კოაგულაციაზე.[3] [67]
- სისხლის საერთო ანალიზი: თრომბოციტოპენია (და გახანგრძლივებული საერთაშორისო ნორმალიზებული თანაფარდობა) სეფსისის კონტექსტში მიუთითებს დისემინირებულ სისხლძარღვშიდა კოაგულაციაზე. ასაკობრივი ჯგუფისთვის ლეიკოციტების პათოლოგიური რაოდენობა (მაღალი ან დაბალი) სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომის ერთ-ერთი დიაგნოსტიკური კრიტერიუმია.
- შრატის გლუკოზა: ჰიპერგლიკემია ხშირია, როგორც სეფსისზე სტრესული რეაქციის ნაწილი. თუმცა, ჰიპოგლიკემია იშვიათი არაა უმცროსი ასაკის ბავშვებში, სითხის მიღების დაქვეითების გამო.

ანთებითი ბიომარკერები

არსებობს მზარდი ინტერესი ბიომარკერების გამოყენების მიმართ სეფსისის და სეპტიკური შოკის დიაგნოსტიკისა და მონიტორინგისთვის. ძირითადი საკითხია (განსაკუთრებით, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში) სეფსისის სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომისგან (ან ორგანოს დისფუნქციისგან) ინფექციის გარეშე გარჩევის პრობლემა, როდესაც კლინიკური ნიშნები შეიძლება უსარგებლო იყოს. ამ მიზნით ყველაზე ხშირად გამოყენებულია 2 ბიომარკერი: C-რეაქტიული ცილა და შრატის პროკალციტონინი. ამ შემთხვევაში შრატში პროკალციტონინის დონე ყველაზე სარწმუნოა უფრო ზუსტია სეფსისის დიაგნოსტიკის დროს, C რეაქტიულ ცილასთან შედარებით ახალშობილებსა და მოზრდილ ბავშვებში.[68] [69] [70] [71] [72] [73] ასევე არსებობს მტკიცებულება,

რომ პროკალციტონინის გამოყენების ტენდენციების გამოყენება შესაძლებელია ანტიბიოტიკოთერაპიის ხანგრძლივობის და საავადმყოფოში დაყოვნების ხანგრძლივობის შესამცირებლად.[74]

სხვა ბიომარკერები (მაგ., CD64, ინტერლეიკინ [IL]-6, IL-8, IL-18, მას სპექტომეტრია, სპეციფიკური mRNA ექსპრესია) მიიჩნევა სიახლედ და ჯერჯერობით არ არის ფართოდ გამოყენებული ან დამტკიცებული, თუმცა მნიშვნელოვანი სამომავლო პერსპექტივები აქვს.[75] [76] [77] [78] [79]

გამოსახულებითი კვლევები

სპეციფიკური გამოსახულებითი გამოკვლევები ტარდება კლინიკური სურათიდან გამომდინარე, მაგრამ ახალშობილებსა და პატარა ბავშვებს, მოსალოდნელი რესპირატორული დისტრესით სეფსისზე ეჭვის დროს უნდა ჩატარდეთ გულმკერდის რენტგენოგრაფია რათა შეფასდეს ცვლილებები ფილტვში (მაგ: წილოვანი კონსოლიდაცია ბრონქოპნევმონიისას).

ანამნეზი და გასინჯვა

ძირითადი დიაგნოსტიკური ფაქტორები

რისკ-ფაქტორების არსებობა (ხშირი)

- მთავარი რისკფაქტორები მოიცავს იმუნოდეფიციტს, თანმხლები დაავადებებს და მცირე ასაკს (განსაკუთრებით ახალშობილებში). ახალშობილებში რისკფაქტორები მოიცავს : ინფექციის პერინატალურ რისკ ფაქტორებს (მაგ: დედის ცხელება, მემბრანის პროლონგირებული გაგლეჯა, დედის B ჯგუფის სტრეპტოკოკური ინფექცია, ქორიოამნიონიტი, ნაყოფის დისტრესი, პგარის შკალით ცუდი 5 წუთიანი ქულა) და ჯანმრთელობასთან ასოცირებული ფაქტორები (მაგ:სისხლძარღვშიდა კათეტერი)[45] [46]

ცხელება ან სხეულის დაბალი ტემპერატურა (ხშირი)

- ცხელება ან სხეულის დაბალი ტემპერატურა ცხელება განისაზღვრება როგორც სხეულის ტემპერატურის მომატება ნორმალური დღიური ვარიაციიდან ზემოთ (მაგ.: 37.5°C ზევით [99.5°F]).[80] სეფსისის დიაგნოსტიკისთვის შეჯამებულ კრიტერიუმში მოცემულია რომ სხეულის შიდა ტემპერატურა უნდა აჭარბებდეს 38.5°C (101°F).[3] თუმცა, დაბალი ზღურბლი საჭიროა ახალშობილებსა და ნეიტროპენიურ პაციენტებში, როდესაც სეფსისი განსაზღვრულია მაშინაც თუ სხეულის ტემპერატურა არის >38°C (>100°F).[81]
- ძირითადად, სეფსისის მქონე ბავშვებში არის სხეულის პათოლოგიურად დაბალი ტემპერატურა (<36°C [$<97^{\circ}\text{F}$]).[3] თუმცა პათოლოგიური ტემპერატურა (მაღალი ან დაბალი) ხშირია, ის არ უნდა გამოიყენებოდეს სეფსისის ერთადერთ პროგნოზულ ფაქტორად და არ უნდა გამოიყენებოდეს სეფსისის დასადასტურებლად ან გამოსარიცად. ამასთან, სწრაფი გადასვლა მაღალიდან დაბალ ტემპერატურაზე არ უნდა იქნას არასწორად განმარტებული, როგორც გაუმჯობესების ნიშანი.

ტაქიპნოე (ხშირი)

- სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ბავშვებში ტაქიპნოეს და ტაქიკარდიის განსაზღვრა ყოველთვის რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ტაქიკარდიის და ტაქიპნოეს ერთიანი განსაზღვრებები არ არსებობს და ისინი განსხვავდება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. სუნთქვის გაზრდილი სიხშირე (ჩვეულებრივ, 2 სტანდარტული გადახრა ასაკის შესატყვისი ნორმის ზემოთ) სეფსისის საერთო მახასიათებელია.[3] [82] აპნოე, სიხინით სუნთქვა ან ცხვირის დახშობა შეიძლება გამოვლინდეს ახალშობილებში და

ჩვილებში.[81] კლინიკური დიაგნოზი უნდა აღემატებოდეს ნებისმიერ ფორმალურ კლასიფიკაციას ან პარამეტრებს, როდესაც გადაუდებელი შემთხვევაა.

ტაქიკარდია (ხშირი)

- ტაქიკარდია (ჩვეულებრივ, 2 სტანდარტული გადახრა გულისცემის სიხშირის ასაკის სტანდარტიზებული ნორმის ზემოთ) სეფსისის საერთო მახასიათებელია.[3] [82]
- სეფსისზე ნაწილობრივ მიმანიშნებელია ის ფაქტი თუ ტაქიკარდია არ იხსნება ცხელების მოხსნის შემდეგ (მაგ., ანტიპირეტიკების მიღების შემდეგ) თუმცა, ტაქიკარდია შეიძლება დამამძიმებელი ფაქტორების (მაგ., ტკივილი, დისკომფორტი ან გულის დაზიანება) შედეგი იყოს.

ბრადიკარდია (ახალშობილები და ჩვილები) (ხშირი)

- სეფსისის მქონე ახალშობილებს და ჩვილებს (<1 წლის) და ნეონატებს შეიძლება აღენიშნებოდეთ ბრადიკარდია (გულისცემის სიხშირე <10-ე პროცენტული ასაკისათვის).[3] კლინიკური დიაგნოზი უნდა აღემატებოდეს ნებისმიერ ფორმალურ კლასიფიკაციას ან პარამეტრებს, როდესაც გადაუდებელი შემთხვევაა.

შეცვლილი მენტალური სტატუსი ან ქცევა (ხშირი)

- სეფსისის მძიმე ფორმის ან სეპტიკური შოკის დროს, ტვინისთვის შემცირებულმა ჟანგბადის მიწოდებამ შეიძლება გამოიწვიოს ცნობიერების შეცვლა, რაც გამოვლინდება ცნობიერების დაქვეითების სხვადასხვა სიმპტომით (მაგ: ძილიანობა, გონების დაბინდვა, დელირიუმი, ლეთარგია, ზოგადი სისუსტე).[3] ახალშობილსა და ჩვილებში შეცვლილი სტატუსი ან ქცევა შეიძლება გამოხატულ იყოს როგორც გაღიზიანება, სოციალურ სტიმულზე რეაგირების არ ქონა, ცუდი ქცევა ან აპნოე.
- ახალშობილებსა და ჩვილებში სუსტი ხმით კვნესა ან უწყვეტი ტირილი მოსალოდნელი სეფსისის მაღალი რისკის მქონე კრიტერიუმი.[48]
- რეჰიდრატაციისას ხშირად არის გარდამავალი გაუმჯობესება.

შემცირებული პერიფერიული პერფუზია (ხშირი)

- არაჰოსპიტალური სეპტიკური შოკის მქონე ჩვილების და მცირეწლოვანი ბავშვების უმეტესობას, ჩვეულებრივ, აღენიშნება ვაზოკონსტრიქციული შოკი (ცივი კიდურები, კაპილარული ავსების გახანგრძლივებული დრო, სხეულისა და ქვედა კიდურის ტემპერატურული სხვაობის მომატება და სუსტი პულსი).[3]

ახალშობილების აქტიურობის ან კვების ჩვეული რეაქტიულობის შეცვლა (ხშირი)

- სეფსისის კლინიკური ნიშნები და სიმპტომები ახალშობილებში ხშირად ბუნდოვანი და არასპეციფიკურია.
- ჩვილებში საციცოცხლო ნიშნებისა და აქტიურობის ნებისმიერი ცვლილება უნდა იყოს ექიმისთვის იმის მიმანიშნებელი, რომ შესაძლოა არსებობდეს სეფსისი.
- ტიპური ცვლილებები მოიცავს: ტემპერატურის არასტაბილურობას, ახალი საკვების აუტანლობას, მუცლის შებერილობას, აპნოესა და ბრადიკარდიულ ეპიზოდებს.[81]

მშრალი პამპერსი/ შარდის გამოყოფის შემცირება (ხშირი)

- შარდის შემცირებული გამოყოფა გავრცელებულია მწვავე ავადმყოფობის მქონე ბავშვებში და ხშირად აღწერს დეჰიდრატაციის ხარისხს (სითხის მცირე რაოდენობით მიღების, სითხის დიდი რაოდენობით კარგვის ან ორივეს გამო). ეს არ არის სეფსისის სპეციფიკური გამოვლინება, მაგრამ ხშირად წარმოდგენილია, განსაკუთრებით მაშინ თუ სეფსისის გამოვლინებამდე არსებობდა პროდრომალური ვირუსული ავადმყოფობა.

კანის აჭრელება, მკრთალი/ნაცრისფერი შეხედულება, ციანოზი (ხშირი)

- ცირკულატორული უკმარისობის ნიშნები

უანგბადით დაბალი გაჯერება (სატურაცია) - (ხშირი)

- ცირკულატორული უკმარისობის ნიშნები

ვაზოპლეგია (იშვიათი)

- ექიმებისთვის საჭიროა ეჭვის მაღალი ინდექსის ქონა, ბავშვების გამოსავლენად, რომელთაც აღენიშნებათ ჯანდაცვის დანესებულებასთან დაკავშირებული სეპტიკური შოკი ან ვაზოდილატაციური ("თბილი") შოკი (ვაზოპლეგია მყისიერი კაპილარული შევსებით, თბილი კიდურებით და გაძლიერებული პულსით).

არა უფერული პურპურული, რომელიც არ უფერულდება ზეწოლით. (იშვიათი)

- ელვისებრი პურპურა გავრცელებული პურპურული გამონაყარია, რომელიც დაჭერით არ ფერმკრთალდება, კლასიკურად გვხვდება მენინგოკოკემიის დროს, მაგრამ ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს *Streptococcus pneumoniae* გამონეწეული სეფსისის მძიმე ფორმასთან.

სხვა დიაგნოსტიკური ფაქტორები

ჰიპოტენზია (იშვიათი)

- ბავშვებსა და მცირეწლოვან ბავშვებს ხშირად შენარჩუნებული აქვთ სისხლის ნორმალური წნევა შოკის გვიან სტადიებზეც კი; შესაბამისად სისხლის ნორმალური წნევა არ გამოიხატავს სეფსისის არსებობას. ჰიპოტენზია ხშირად არის სეპტიკური შოკის ტერმინალური ნიშანი.
- ბავშვებში ჰიპოტენზია განისაზღვრება ასაკობრივი ნორმებით ≥ 12 წლის ბავშვებში არტერიული სისხლის სისტოლური წნევა < 90 მმ.ვწყ.სვ. ან სისხლის სისტოლური წნევის შემცირება საბაზო დონესთან შედარებით > 40 მმ.ვწყ.სვ-ით არის სეფსისის მაღალი რისკის კრიტერიუმი.[48]

სპეციფიკური კეროვანი ნიშნები და სიმპტომები გამოხატავს მიმდინარე პათოლოგიას (იშვიათი)

- გარკვეული სიმპტომები და ნიშნები შეიძლება მიუთითებდეს ინფექციის კერაზე (წყაროზე). მცირეწლოვან ბავშვებსა და ახალშობილებში როგორც წესი არ არის წარმოდგენილი ინფექციის კერა, მაშინ როცა უფროსი ასაკის ბავშვებში გამოვლენილია კლინიკური კერა (მაგ: ბრონქოპნევმონია ან მენინგიტი).

რისკფაქტორები

ძლიერი

იმუნოდეფიციტი

- იმუნოდეფიციტის მრავალი გამომწვევი მიზეზია აღწერილი ბავშვებში, მათ შორის ავთვისებიანი მდგომარეობა, იმუნოსუპრესიული წამლები (მაგ: ქიმიოთერაპია, კორტიკოსტეროიდები და ჰემატოლოგიური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია), პირველადი იმუნოდეფიციტი (მაგ: მძიმე კომბინირებული იმუნოდეფიციტი), შეძენილი იმუნოდეფიციტები (მაგ: აივ) და მალნუტრიცია.[39]
- მძიმე კომბინირებული იმუნოდეფიციტი, შეძენილი იმუნოდეფიციტი (მაგ: აივ) და მალნუტრიცია.
- ექიმები უნდა იყვნენ ყურადღებით შესაძლო არსებული იმუნოდეფიციტის გამო თუ პაციენტს აქვს სერიოზული, გახანგრძლივებული, უჩვეულო ან განმეორებითი ინფექციები,

- ინფექციის ადგილმდებარეობა და ტიპი ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციას იმუნოდეფიციტის კატეგორიის შესახებ. მაგალითად განმეორებითი ინფექცია კაფსულირებული ორგანიზმებით, როგორიცაა ნეისერიას სახეობა მიუთითებს კომპლემენტის დეფიციტზე; მაშინ როდესაც ცოცხალი ვაქცინების წარუმატებლობა ან სოკოვანი ინფექციის ადრეული გამოვლინება (როგორიცაა კანდიდა) არის დამახასიათებელი მძიმე კომბინირებული იმუნოდეფიციტისთვის.

თანმხლები მდგომარეობები

- მძიმე ფორმის სეფსისის ინციდენტობა უფრო მაღალია ბავშვებში კომორბიდული დაავადებით (განისაზღვრება როგორც ნებისმიერი სამედიცინო მდგომარეობა, რომელიც, როგორც გონივრულად მოსალოდნელია გაგრძელდება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, თუ არ დადგება სიკვდილი, მოიცავს რამდენიმე სხვადასხვა სისტემის ორგანოებს ან ერთ სისტემას ორგანოებს, იმდენად მძიმედ, რომ საჭირო ხდება სპეციალიზირებული პედიატრიული დახმარებას) შედარებით სხვა მხრივ ჯანმრთელ ბავშვებთან.[40]
- მძიმე სეფსისის დაახლოებით 10 000 შემთხვევის დიდ ეპიდემიოლოგიურ კვლევაში, დაახლოებით, ნახევარს ჰქონდა თანმხლები დაავადება[12] და სიკვდილიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალი იყო ბავშვების ამ ჯგუფში.
- სეფსისის კავშირი სხვა თანმხლებ დაავადებებთან ინტუიციურად გასაგებია, ვინაიდან ბევრ თანმხლებ დაავადებას აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენა მასპინძელი ორგანიზმის თავდაცვაზე (მაგ: ნეიტროპენია კიბოს მქონე პაციენტებში, რომლებიც იკეთებენ ქიმიოთერაპიას, ხველა და დამცავი რესპირატორული რეფლექსები ბავშვში, რომელსაც აქვს მძიმე ნეიროკუნთოვანი დაავადება).
- აღსანიშნავია რომ ქრონიკული დაავადებების მაჩვენებელი განვითარებული მსოფლიოს პედიატრიულ პოპულაციაში იმატებს ყოველწლიურად.[41]

ახალგაზრდა ასაკი (განსაკუთრებით ახალშობილი)

- ზოგადად, მძიმე სეფსისის რისკი ბავშვებში მცირდება ასაკის მატებასთან ერთად. 1995 წლის მონაცემების მიხედვით ჩვილებში (ასაკი <1 წელი) მძიმე სეფსისის ინციდენტობა იყო დაახლოებით 10-ჯერ მეტი ვიდრე ინციდენტობა ყველა ასაკის ბავშვში ერთად (5.16 შემთხვევა 1000 მოსახლეზე წლიურად, 0.56 შემთხვევასთან შედარებით). ჩვილებში სეფსისის მაღალი მაჩვენებელი ძირითადად იყო მძიმე ნეონატალური სეფსისის მაღალი ინციდენტობის გამო.[12]
- სეფსისის უფრო მაღალი მაჩვენებელი ამ ასაკობრივ ჯგუფში განპირობებულია მრავალი ფაქტორით, როგორიცაა მოუწიფებელი უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტი, ბუნებრივი ბარიერების, როგორიცაა ლორწოვანი ზედაპირების არადამაკმაყოფილი მთლიანობა.[43]
- სეფსისის გაზრდილი რისკი ნეონატებში მძიმდება დღენაკულობით. დროულად დაბადებულ ჩვილებთან შედარებით, ყველა დღენაკულ ჩვილს აქვს სეფსისის განვითარების უფრო მაღალი რისკი ნოზოკომიალური სეფსისის ჩათვლით.[43] რისკი იზრდება დღენაკულობის ხარისხთან ერთად,[44] და დაბადებისას ძალიან მცირე წონა მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს.[13]

ინფექციის განვითარების პერინატალური რისკფაქტორები (ახალშობილები)

- დაბადებასთან დაკავშირებული შემდეგი რისკფაქტორები დაკავშირებულია ნეონატალური სეფსისის გაზრდილ რისკთან:[45] [46] დედის ფაქტორები მოიცავს ცხელებას (დედის), მემბრანის პროლონგირებული გავლევას (>18საათი), დედის B ჯგუფის სტრუქტოკოკულ ინფექციას და ქორიოამნიონიტს; ნაყოფის ფაქტორები მოიცავს ნაყოფის დისტრესს და 5 წუთიანი აპგარის სკალით შეფასების დაბალ ქულას (მაგ., ≤6).

ჯანმრთელობასთან ასოცირებული ფაქტორები (ახალშობილები)

- ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მყოფ დღენაკლულ ჩვილებს აქვთ გვიანი ნეონატალური სეფსისის გაზრდილი რისკი, ჯანმრთელობასთან ასოცირებული სხვადასხვა ჩარევებიდან გამომდინარე, რომელთაგან ბევრი არღვევს ბუნებრივ ბარიერს (მაგ., სისხლძარღვშიდა კათეტერების არსებობა). ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია პარენტერული კვება, მექანიკური ვენტილაცია, ქრონიკული ცენტრალური ვენური წვდომა და სისხლძარღვშიდა კათეტერები (არტერიული, ცენტრალური ვენური ან პერიფერიული).[47]

ოპერაცია ან სხვა ინვაზიური პროცედურები უახლოეს წარსულში

- სეფსისის რისკი მაღალია ბავშვებში რომელთაც ჩაუტარდათ ოპერაცია ან სხვა ინვაზიური პროცედურები.[48]

კანის მთლიანობის დარღვევა

- სეფსისის რისკი მაღალია იმ ბავშვებში, რომელთაც დარღვეული აქვთ კანის მთლიანობა (მაგ: ჭრილობა, დამწვრობა, ბუშტუკები ან კანის ინფექცია).[48]

სუსტი

მამრობითი სქესი

- მძიმე ფორმის სეფსისის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ბიჭებში ვიდრე გოგონებში. ეს ეფექტი უფრო შესამჩნევია მცირეწლოვან ბავშვებში, ძირითადად 1 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებში (ჩვილებში), როდესაც სეფსისის მძიმე ფორმის მაჩვენებელი მამრობითი სქესის ჩვილებში იყო 1.3 ჯერ უფრო მაღალი ვიდრე მდედრობითი სქესის ჩვილებში.[12]
- სქესის მიხედვით განსხვავების მიზეზი არ არის ცნობილი, თუმცა ეს ფენომენი შეესაბამება წინა კვლევებს, რომელთა მიხედვით ფართო კლინიკური გამოსავლები გაცილებით უარესი იყო დღენაკლულ მამრობითი სქესის ჩვილებში.[42]

კვლევები

1-ლად შესაკვეთი ტესტები

ტესტი	შედეგი
სისხლის საერთო ანალიზი • ლეიკოციტების პათოლოგიური რაოდენობა (ანუ, ასაკობრივი ჯგუფის ნორმალური დიაპაზონზე მეტი ან ნაკლები ან $>10\%$ მოუმწიფებელი ლეიკოციტები) სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის ერთ-ერთი ძირითადი სადიაგნოსტიკო კრიტერიუმია.[3] • თრომბოციტოპენია (ანუ, თრომბოციტების რაოდენობა $<80,000/\text{მიკროლიტრი}$ ან ყველაზე მაღალი მაჩვენებლიდან 50%-ით შემცირება ბოლო სამ დღეში) სეფსისის კონტექსტში მიუთითებს დისემინირებულ სისხლძარღვში და შედეგების დანყებაზე, თუ დაკავშირებულია კოაგულოპათიასთან.	ცვალებადია
შრატის გლუკოზა • ჰიპოგლიკემიის დონის განსაზღვრება: საშუალო სიმძიმის ჰიპოგლიკემია არის როდესაც სისხლში გლუკოზის დონეა $2.0 - 3.0 \text{ მმოლი/ლ}$ [$36 - 45 \text{ მგ/დლ}$]; მძიმე ჰიპოგლიკემიაა როდესაც სისხლში გლუკოზის დონეა $<2.0 \text{ მმოლი/ლ}$ [$<36 \text{ მგ/დლ}$].[83] • ჰიპერგლიკემია დამახასიათებელია სეფსისის შედეგად განვითარებული სტრეს პასუხისთვის. ის ასევე შეიძლება იყოს კორტიკოსტეროიდული მკურნალობის გვერდითი ეფექტი. ჰიპოგლიკემია შეიძლება განვითარდეს გლიკოგენის რაოდენობის განლევისას.	ცვალებადია
სისხლის კულტურა • სეფსისის მქონე ჩვილებისა და მცირეწლოვანი ბავშვების უმეტესობას აქვს პირველადი ბაქტერიემია, შესაბამისად, სისხლის კულტურა ხშირად მნიშვნელოვანი გამოკვლევაა.[7] [59] [60] • უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მალე, როდესაც ეჭვია სეფსისზე და, იდეალურ შემთხვევაში, ანტიბიოტიკების მიღებამდე. • სისხლის კულტურის მგრძნობელობა პრაქტიკულია აღებული სისხლის მოცულობისა. ახალშობილებში შედიატრიული აერობული ბოთლის (ჭურჭელი სისხლის კულტურისათვის) გამოყენებისას, მინიმუმ 1მლ სისხლი პერიფერიული ვენიდან პუნქციით ან ახალჩაყენებული კათეტერიდან (არტერიული ან ვენური) არის საჭირო რათა მოხდეს ბაქტერიემიის დიაგნოსტიკა.[7] • როდესაც გამოიყენება სტანდარტული ბოთლი აერობული კულტურისათვის, საჭიროა მინიმუმ 4მლ სისხლი რათა დადასტურდეს უარყოფითი კულტურა 48საათში. ზოგჯერ კულტურის აღებისას მიზანშეწონილია ორი კომპლექტის გამოყენება რათა ექიმმა აიღოს კულტურა სხვადასხვა ადგილიდან - მუდმივი ხაზიდან (მაგ: ცენტრალური ხაზი- მაგისტრალური სისხლძარღვები) და პერიფერიული ადგილიდან. • სისხლის კულტურის შედეგები უნდა გადაიხედოს ყოველ 12-24 საათში; დადებითი პასუხების უმეტესობა გამოვლინდება 48 საათში და ბევრი მათგანი შეიძლება დადებითი იყოს 24 საათის განმავლობაშიც.[61]	სისხლის დადებითმა კულტურამ შეიძლება დაადასტუროს ბაქტერიემია და უზრუნველყოს ინფორმაცია პათოგენის შესახებ, მათ შორის ანტიბიოტიკების სენსიტიურობაზე.

ტესტი	შედეგი
შარდის საერთო ანალიზი შარდის საერთო ანალიზი გათვალისწინებული უნდა იყოს უფროსი ასაკის ბავშვებში, რომელთა სიმპტომები მიუთითებს საშარდე გზების ინფექციაზე.	საშარდე გზების ინფექციის დროს შეიძლება დადებითი იყოს ნიტრიტებზე და/ან ლეიკოციტებზე
შარდის ბაქტერიული ანალიზი - შარდის ანალიზი ნიტრიტებისთვის, მიკროსკოპიული გამოკვლევა, გრამის წესით შეღებვა და კულტურა უნდა იქნას განხილული ყველა ახალშობილში, რომელთაც აქვთ სეფსისი (თუმცა სიცოცხლის პირველ კვირაში შარდის დადებითი კულტურა შეიძლება მხოლოდ ასახავდეს მძიმე ფორმის ბაქტერიემიას). - შეიძლება არ იყოს შესაძლებელი რეჰიდრატაციამდე.	შარდის დადებითმა კულტურამ შეიძლება დაადასტუროს საშარდე გზების ბაქტერიული ინფექცია და უზრუნველყოს ინფორმაცია პათოგენის შესახებ, ანტიბიოტიკების მიმართ სენსიტიურობის ჩათვლით.
სისხლის აირები - მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებში იშვიათად ხდება არტერიული სისხლის აირების შემოწმება შემთხვევებისას და გადაუდებელ სამედიცინო დეპარტამენტში, შესაძლებელია მიღებულ იქნას კლინიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია კაპილარული ან ვენური სისხლის აირებიდან. - ბაზისის დიდი დეფიციტი არის სეფსისის მძიმე ფორმის მთავარი მარკერი და შეიძლება იყოს პირველი მარკერი, რომელიც იძლევა ინფორმაციას ავადობის სიმძიმის შესახებ. - ჰიპერკაპნია ან ჰიპოქსემია გვეხმარება რესპირატორული დისფუნქციის დიაგნოსტიკაში.[3] - ჰიპოქსემია: P/F შეფარდება (PaO₂/ფრაქცია შესუნთქული ჟანგბადის [FiO₂]) <40 (გულის ციანოზური დაავადების ან უკვე არსებული ფილტვის დაავადების არარსებობისას). - ჰიპერკაპნია: PaCO₂ >8,64 kPa (>65 mmHg) ან 2,66 kPa (20 mmHg) საბაზისო დონის ზემოთ. - მაღალი FiO₂ საჭიროება მიუთითებს სეფსისთან დაკავშირებულ სუნთქვის უკმარისობაზე.[3]	დიდი საბაზისო დეფიციტი; ჰიპოქსემია და/ან ჰიპერკაპნია
შრატის ლაქტატი - შრატის ლაქტატის მომატება არის სეფსისის დაავადების სიმძიმის მარკერი. ეს გამოწვეულია ბეტა-ადრენორეცეპტორების სტიმულაციის შედეგად, ენდოგენური კატექოლამინების მიერ, რომლებიც არეგულირებენ გლიკოლიზს, რაც იწვევს პირუვატის დიდი რაოდენობით წარმოებას. ეს წარმოება აღემატება ტრიკარბოქსილის მუავას ციკლის გამოყენების შესაძლებლობებს და ჭარბი პირუვატი გარდაიქმნება ლაქტატად. ლაქტატი ხშირად მატულობს მძიმე სეფსისის ან სეპტიური შოკის დროს. გარკვეულ სიტუაციებში ლაქტატემია შეიძლება იყოს ჟანგბადის მიწოდების შემცირება.[66] ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში შემოსვლისას მომატებული ლაქტატის სიმძიმე შეიძლება მიუთითებდეს თირკმლის მწვავე დაზიანების მოახლოებაზე.[84] - ლაქტატის ყველაზე სანდო შეფასებისას გამოიყენება არტერიული ნიმუში, შესაბამისად ვენური და კაპილარული ლაქტატის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს სიფრთხილით.	მომატებული დონე არის სეფსისის დაავადების სიმძიმის მარკერი და მიუთითებს სეპტიურ შოკზე
სისხლის შრატში ელექტროლიტების შემცველობა სისხლის შრატის ელექტროლიტები ხშირად არეულია. უნდა გაიზომოს სანყისი მაჩვენებელი და რეგულარულად შემოწმდეს სანამ პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდება.	დარღვეული

ტესტი	შედეგი
სისხლის შრატის კრეატინინი შრატის კრეატინინის მომატება (ანუ, შრატის კრეატინინი >2 ჯერ მომატებულია ნორმის ზედა ზღვართან შედარებით ან შრატის კრეატინინის >2 ჯერ მომატება საწყისთან შედარებით) მიუთითებს სეფსისთან დაკავშირებულ თირკმლის უკმარისობაზე.[3]	მოამტებულია
ღვიძლის ფუნქციური სინჯები მომატებული ბილირუბინი (ნეონატალური ასაკობრივი დიაპაზონის მიღმა) და/ან მომატებული ალანიამინოტრანსფერაზა დადასტურებული ან სავარაუდო ინფექციის არსებობისას მიუთითებს სეფსისთან დაკავშირებულ ღვიძლის დისფუნქციაზე.[3]	პათოლოგიურია
კოაგულოგრამა სეფსისის და თრომბოციტოპენიის კონტექსტში, შედეგები (ანუ, INR >2; აქტივირებული პროლონგირებული PTT, ფიბრინოგენის დონის შემცირება და Dდიმერის მომატება) მიუთითებს დისემინირებულ სისხლძარღვშიდა კოაგულაციასზე.[3] [67]	პათოლოგიურია
C-რეაქტიული ცილა (CRP) ბიომარკერი, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს სეფსისის და სეპტიკური შოკის დიაგნოსტიკის და მონიტორინგისთვის. არ არის ისეთივე სპეციფიკური როგორც შრატის პროკალციტონინი, მაგრამ უფრო ხელმისაწვდომია. შეიძლება არსებობდეს დაყოვნების პერიოდი სეფსისის დაწყებასა და CRP ზრდას შორის.	მოამტებულია
გულმკერდის რენტგენოგრაფია (რენტგენი) - ჩვილებსა და მცირეწლოვან ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ სუნთქვის დარღვევა სავარაუდო სეფსისის გამო, უნდა ჩაუტარდეთ გულმკერდის რენტგენოლოგიური კვლევა, რათა შეფასდეს ფილტვის ცვლილებები (მაგ. ბრონქოპნევმონიის შემთხვევაში წილოვანი კონსოლიდაციები). - ხშირად გადაიდება, ვიდრე არ გაეწევა რესპირაციული მხარდაჭერა.	შეიძლება გამოჩნდეს ინფექციის კერები, განსაკუთრებით უფროსი ასაკის ბავშვებში

სხვა გასათვალისწინებელი ტესტები

ტესტი	შედეგი
ხერხემლის პუნქცია • თუ ეჭვია მენინგიტიზე და არ არის პურპურული ან პეტეჩიური გამონაყარი, ექიმმა უნდა განიხილოს ლუმბარული პუნქციის ჩატარება (თავზურგტვინის სითხეში ცილების და გლუკოზის კონცენტრაციისთვის, გრამის წესით შეღებვის მიკროსკოპული შეფასებისთვის და ბაქტერიული კულტურისთვის) როდესაც ბავშვი სტაბილურია და პროცედურის უსაფრთხოდ ჩატარებაა შესაძლებელი.[7] [44] • ჯანდაცვის და სამედიცინო დახმარების დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტის (NICE) სეფსისის გაიდლაინები რეკომენდაციას უწევს ლუმბალურ პუნქციას, თუ ეჭვია სეფსისზე <1 თვის ასაკის ახალშობილებში და ყველა ახალშობილში 1-3 თვის ასაკში, რომლებიც გამოიყურებიან ავადმყოფურად ან აქვთ ლეიკოციტების რაოდენობა $<5 \times 10^9/\text{ლ}$ ან $>15 \times 10^9/\text{ლ}$. [48] • ლუმბალური პუნქცია, როგორც წესი, უკუანაჩვენებია მძიმე სეფსისის მქონე ბავშვებში, სანამ არ მოხდება პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაცია.	თავზურგტვინის სითხის დადებითმა კულტურამ შეიძლება დაადასტუროს ბაქტერიული მენინგიტი და უზრუნველყოს ინფორმაცია პათოგენის შესახებ ანტიბიოტიკების მიმართ სენსიტიურობის ჩათვლით; ცილები შეიძლება იყოს მომატებული; გლუკოზა შეიძლება იყოს დაბალი
მენინგოკოკური პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (PCR) • შეიძლება დამხმარე იყოს დიაგნოზის დასაზუსტებლად მენინგოკოკური სეფსისის სავარაუდო კლინიკური შემთხვევის დროს.	დადებითია Neisseria meningitides ინფექცია
ბრონქოალვეოლური ლავაჟი • ბრონქოალვეოლური ლავაჟის ნიმუში მიკროსკოპის და კულტურისთვის შეიძლება განხილული იყოს ხელოვნურ ვენტილაციასთან ასოცირებული პნევმონიის საეჭვო შემთხვევის მქონე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მყოფი ბავშვებისთვის.	დადებითმა კულტურამ შეიძლება დაადასტუროს ბაქტერიული ინფექცია და უზრუნველყოს ინფორმაცია პათოგენის შესახებ, მათ შორის ანტიბიოტიკების სენსიტიურობაზე.
მარტივი ჰერპესის ვირუსის (HSV) პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (სისხლი და თავზურგტვინის სითხე) • ნეონატალური მარტივი ჰერპესული ინფექცია (ცნს-ში ან დისემინირებული) ძალიან იშვიათია, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტორია მძიმე სეფსისის მქონე ბავშვებში. • უნდა განიხილოს საკითხი, შესაძლებელია თუ არა ახალშობილთა მარტივ ჰერპეს ინფექციის აღბათობა.	დადებითი (ცნს ან დისემინირებული HSV ინფექცია)

ახალი ტესტები

ტესტი	შედეგი
შრატის პროკალციტონინი • ძირითადი საკითხია (განსაკუთრებით, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში) სეფსისის გარჩევის პრობლემა არაინფექციური სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომისგან (ან ორგანოს დისფუნქციისგან), როდესაც კლინიკური ნიშნები შეიძლება უსარგებლო იყოს. ამ მიზეზით ყველაზე ხშირად გამოყენებულია 2 ბიომარკერი: C რეაქტიული ცილა და შრატის პროკალციტონინი. ამ შემთხვევაში შრატში პროკალციტონინის დონე ყველაზე სარწმუნოა უფრო ზუსტია სეფსისის დიაგნოზისტიკის დროს, C რეაქტიულ ცილასთან შედარებით ახალშობილებსა და მოზრდილ ბავშვებში.[68] [69] [70] [71] [72] [73] ასევე არსებობს მტკიცებულება, რომ პროკალციტონინის გამოყენების ტენდენციების გამოყენება შესაძლებელია ანტიბიოტიკოთერაპიის ხანგრძლივობის და საავადმყოფოში დაყოვნების ხანგრძლივობის შესამცირებლად.[74]	მოამტებულია
დანარჩენი ბიომარკერები • სხვა ბიომარკერები (მაგ., CD64, ინტერლეიკინ [IL]-6, IL-8, IL-18, მასის სპექტომეტრია, სპეციფიკური მესენჯერ რნმ-ის ექსპრესია) ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და ჯერჯერობით არ არის ფართოდ გამოყენებული ან დამტკიცებული, თუმცა მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვს.	დადებითი
PhenoTest™ BC კომპლექტი • შეუძლია ბაქტერიების 14 სახეობის და სოკოს 2 სახეობის იდენტიფიცირება, რომლებიც იწვევს სისხლის ინფექციებს, ასევე იძლევა ინფორმაციას ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობელობის შესახებ. • აღარებს ორგანიზმის დნმ-ს მონაცემთა ბაზასთან და შემდეგ იყენებს კადრების გამოსახულებებს ანტიბიოტიკებზე ორგანიზმის რეაქციის შესაფასებლად. • შეუძლია 1,5 საათში პოზიტიური სისხლის კულტურის იდენტიფიცირება და 6,5 საათში ანტიბიოტიკებით მკურნალობის მართვა. • დაკავშირებული იყო ცრუ დადებით შედეგებთან.[65]	შეიძლება დადებითი იყოს ორგანიზმებზე და შეუძლია ანტიბიოტიკებით მკურნალობის მართვა.

დიფერენციული დიაგნოზები

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
2019 წლის კორონავირუსით გამოწვეული დაავადება (COVID-19)	• სიმპტომების გამოვლენამდე 14 დღის განმავლობაში COVID-19-ის საზოგადოებრივი გავრცელების რეგიონში ცხოვრება/მოგზაურობა, ან ახლო კონტაქტი შესაძლო/დადასტურებულ შემთხვევასთან. • შეიძლება რთული იყოს ბაქტერიული პნევმონიისგან გარჩევა კლინიკურად. ცხელების, ხველის და დისპნოეს გარდა სხვა ხშირი პირველი სიმპტომებია მიაღვია, დაღლილობა და გემოს და/ან ყნოსვის შეგრძნების ცვლილება. კუჭ-ნაწლავის სიმპტომები ბავშვებში უფრო ხშირია, ვიდრე მოზრდილებში. აქამდე არსებული მტკიცებულებები მიუთითებს ბავშვებში დაავადების უფრო მსუბუქ მიმდინარეობაზე, მოზრდილებთან შედარებით.[85] • პნევმონიის ან რესპირატორული დისტრესის მქონე პაციენტებში გულმკერდის აუსკულტაციით შეიძლება გამოვლინდეს ხიხინი და/ან ბრონქული სუნთქვა. • სუნთქვის დარღვევის მქონე პაციენტებს შესაძლოა აღენიშნებოდეთ ტაქიკარდია, ტაქიპნოე ან ჰიპოქსია თანმხლები ციანოზით.	• უკუტრანსკრიპტაზას პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია: დადებითია SARS-CoV-2 ვირუსულ რნმ-ზე. • გულმკერდის გამოსახულებითი კვლევით შეუძლებელია განვასხვავოთ COVID-19-ით გამოწვეული პნევმონია სხვა წარმოშობის პნევმონიისგან.
პედიატრიული ანთებითი მულტისისტემური სინდრომი	• იშვიათი, მაგრამ მძიმე მდგომარეობა, რომელიც აღინიშნება ბავშვებსა და მოზარდებში, COVID-19-ის დანაყებიდან დაახლოებით 2-4 კვირის შემდეგ. ამ მოვლენის მიზეზი, სავარაუდოდ, ინფექციის შემდგომი ანთებითი პროცესია. სინდრომს აქვს ძლიერი დროებითი	• სპეციფიური ტესტები არ არსებობს, მაგრამ ლაბორატორიული ტესტები აჩვენებს მომატებულ ანთებით მარკერებს და გულის ანთების მტკიცებულებას პაციენტების უმრავლესობაში (ტროპონინისა მომატებული დონე და პრო-B ტიპის

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
	კავშირი ინფექციასთან, გამონეწეული მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომით, რომელიც გამონეწეულია კორონავირუს 2 (SARS-CoV-2)-ით. მას აქვს საერთო ნიშნები კავასაკის დაავადებასთან და ტოქსიკური შოკის სინდრომთან. ცხელება, შოკი, მუცლის ტკივილი, ლებინება და ღიარება არის საერთო დამახასიათებელი ნიშნები, ხშირად გამონაყართა და გულის ჩართულობით.	ნატრიურული პეპტიდის დონის მომატება) • ეკგ-ის ან ექოკარდიოგრაფიის დარღვეული შედეგები • რეალური დროის უკუტრანსკრიპტაზას პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია: დადებითია SARS-CoV-2 ვირუსულ რნმ-ზე.
გულის თანდაყოლილი დაავადება	• გულის თანდაყოლილმა, სადინარზე დამოკიდებულმა მანკებმა, შეიძლება მოახდინოს იმიტირება ადრეული ან მოგვიანებითი ნეონატალური სეფსისა • განმასხვავებელი ნიშნები: გულის შეგუბებითი უკმარისობის ნიშნები და მარცხენამხრივი, ობსტრუქციული დაზიანებები (როგორიცაა აორტის კოარქტაცია ან აორტის სტენოზი) ან გავრცობილი რეფრაქტორული ციანოზი ლურჯ მანკებში (როგორიცაა მსხვილი არტერიების ტრანსპოზიცია ან ფილტვის ატრეზია).	• გულმკერდის რენტგენზე შეიძლება გამოჩნდეს ფილტვის შეშუპების და კარდიომეგალიის ნიშნები გულის ობსტრუქციული დაზიანების შემთხვევაში. • ექოკარდიოგრაფიაზე გამოჩნდება გულის დეტალური ანატომია.
სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის (SIRS) არა-ინფექციური მიზეზები	• სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი და ორგანოს დისფუნქცია შეიძლება განვითარდეს მრავალი სხვა სტიმულის შედეგად, მათ შორისაა კარდიოპულმონალური შუნი, ტრავმა, პანკრეატიტი და დამწვრობა. • ძალიან რთულია სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომის გარჩევა სეფსისისგან. თუმცა არა ინფექციური სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომს როგორც წესი აქვს სხვა დაზიანებების ანამნეზი.	• ლაბორატორიული ტესტები ტარდება ეტიოლოგიის დადგენიდან გამომდინარე (მაგ: შრატის ამილაზა, თუ მოსალოდნელია პანკრეატიტი). • CRP და შრატის პროკალციტონინი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ინფექციის გამოსარიცხად.

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
ჰემოფაგოციტური ლიმფოპროლიფერაცია	• შეიძლება იყოს პირველადი (ხშირად ასოცირებული მემკვიდრულ იმუნოდეფიციტთან) ან მეორეული (მაგ: გამონეწევი ვირუსული ავადმყოფობის შედეგად). • კლინიკური ნიშნებით ხშირად ემსგავსება სეფსისის მძიმე ფორმას, ეს არის: ცხელება, შოკი და მრავალი ორგანოს უკმარისობა შემთხვევათა მძიმე ფორმისას. • ლიაგნოსტიკური კრიტერიუმი შეიცავს ჰეპატომეგალიას, რომელიც შეიძლება იყოს განმასხვავებელი ნიშანი.	• არსებობს სეფსისის მძიმე ფორმასთან ბევრი თანხვედრი ნიშანი. • ლიაგნოსტიკური კრიტერიუმი შეიცავს პანციტოპენიას, ფერიტინისა და ტრიგლიცერიდების მომატებულ კონცენტრაციას და ჰიპოფიბრინოგენემიას.
ნეიროლექტიკური ავთვისებიანი სინდრომი	• ხასიათდება ჰიპერთერმიით, გენერალიზირებული რიგიდულობით (რომელიც შეიძლება იყოს განმასხვავებელი ნიშანი) და აუტონომიური დისრეგულაციით (მაგ: ოფლიანობა და სისხლის არასტაბილური წნევა). • სინდრომის გამოვლინება ხდება როგორც იდიოსინკრეტული გართულება, რომელიც განვითარდა ანტიფსიქოზური წამლების გამოყენების შედეგად.	• შრატის მომატებული კრეატინინაზა და მიოგლობინი (და მიოგლობინურია) თუ არის რაბდომიოლიზი.
ავთვისებიანი ჰიპერთერმია	• დამახასიათებელია ძლიერი ჰიპერთერმია, ტაქიკარდია, რიგიდულობა და რაბდომიოლიზი კლინიკურად მიღრეკილ პაციენტებში მასტიმულირებელი საშუალების (როგორც წესი ანესთეზიური საშუალების) ექსპოზიციის შემდეგ.	• არ არის სპეციფიკური განმასხვავებელი ტესტები მწვავე სტადიაში, თუმცა კრეატინ კინაზა და მიოგლობინი მომატებული იქნება რაბდომიოლიზის დროს. • მოლეკულური გენეტიკა და ქსოვილების შემოწმება შესაძლებელია რათა რეტროსპექტულად დადასტურდეს დიაგნოზი.
ბაკლოფენის მოხსნის სინდრომი	• ბაკლოფენის სწრაფად შეწყვეტიდან 72 საათში შეიძლება განვითარდეს სეფსისის მსგავსი სინდრომი, ამ დროს შეიძლება	• არ არსებობს სპეციფიკური ტესტი, მაგრამ შეიძლება არსებობდეს მექანიკური ტუმბოს დაზიანების ან

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
	გამოვლიდნეს სპასტიურობა, ჰიპერტონია, ჰიპერტენზია და რაბდომიოლიზი.[86] • შეიძლება განვითარდეს თუ მოხდა ტუმბოს დაზიანება იმ პაციენტებში, რომლებიც იღებენ ინტრათორაკალურად ბაკლოფენის ინფუზიას მუდმივი ტუმბოთი.	კათეტერის დახშობის მტკიცებულება. • შრატის მომატებული კრეატინინაზა და მიოგლობინი (და მიოგლობინურია) თუ არის რაბდომიოლიზი.
ჰიპერამონემია	• ჰიპერამონემია და მძიმე სეფსისი შეიძლება არ განასხვავდებოდეს ახალშობილებში.	• ამონიუმის დონის ამაღლება და გენეტიკური ტესტები მიზეზის დასადგენად.

კრიტერიუმები

შემოთავაზებული იყო მრავალი მიდგომა ბავშვებში სეფსისის დიაგნოსტიკისთვის. ზოგიერთი მათგანი ყურადღებას ამახვილებს ოფიციალურ კრიტერიუმებზე, ზოგი კი მიზნად ისახავს აღრეული ამოცნობის გაუმჯობესებას იმ სიმპტომების და ნიშნების გათვალისწინებით, რომლებიც მიუთითებს, რომ ბავშვი სეფსისის განვითარების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება.

საერთაშორისო კონსენსუსის კონფერენცია პედიატრიული სეფსისის განსაზღვრებაზე[3]

შემდეგი სტანდარტული განსაზღვრებები შემუშავდა პედიატრიული სეფსისის საერთაშორისო შეთანხმების კონფერენციის მიერ მრავალ ცენტრიანი დიდი კლინიკური კვლევების აღრეული კრიტერიუმის სტანდარტიზირებისთვის. აღსანიშნავია, რომ სეფსისის კლინიკური დიაგნოზი უნდა დაისვას უფრო აღრე ვიდრე ამის საშუალებას კლასიფიკაცია იძლევა.

-ით ინფექციას:

- ნებისმიერი პათოგენის მოსალოდნელი ან დამტკიცებული ინფექცია.

სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი:

- გენერალიზებული ანთებითი პასუხი განისაზღვრება ჩამოთვლილი 2 ან მეტი კრიტერიუმის არსებობით (ერთ-ერთი კრიტერიუმი აუცილებლად უნდა იყოს არანორმალური ტემპერატურა ან სისხლის თეთრი უჯრედების რაოდენობა):
 - არანორმალური სხეულის შიდა ტემპერატურა ($<36^{\circ}\text{C}$ ან $>38.5^{\circ}\text{C}$ [$<97^{\circ}\text{F}$ ან $>101^{\circ}\text{F}$])
 - პათოლოგიური გულისცემა (>2 სტანდარტული გადახრა ასაკობრივი ნორმის ზემოთ ან <10 პერცენტილი ასაკისთვის, თუ ბავშვი არის <1 წლის)
 - გახშირებული სუნთქვა (>2 სტანდარტული გადახრა ასაკობრივი ნორმის ზემოთ ან ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია ფილტვის მწვავე დაავადების დროს)

- სისხლის თეთრი უჯრედების არანორმალური რაოდენობა (ასაკობრივ ჯგუფში ნორმაზე მეტი ან დაბალი მაჩვენებელი ან $>10\%$ სისხლის მოუმწიფებელი თეთრი უჯრედები).

სეფსისი:

- ინფექციისას სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომის არსებობა.

მძიმე სეფსისი:

- სეფსისი კარდიოვასკულარული დისფუნქციის, მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომის ან 2 ან მეტი ორგანოთა სისტემის დისფუნქციის შემთხვევაში.

სეპტიკური შოკი:

- სეფსის კარდიოვასკულარულ დისფუნქციასთან ერთად, რომელიც გრძელდება სულ მცირე 40მლ/კგ რეჰიდრატაციიდან 1 საათში. რეგისტრებული სეპტიკური შოკი:

რეფრაქტერული სეპტიკური შოკი:

- შოკი რომელიც გრძელდება ≥ 60 მლ/კგ რეჰიდრატაციის შემდეგ კატექოლამინ-რეგისტრებული სეპტიკური შოკი:
- კატეხოლამინებისადმი მდგრადი სეპტიკური შოკი. შოკი, რომელიც გრძელდება კატექოლამინებით თერაპიის მიუხედავად (მაგ: დოპამინით და/ან ადრენალინით (ეპინეფრინი) ან ნორადრენალინით (ნორეპინეფრინის) ინფუზიით)).

ორგანოთა დისფუნქციის განსაზღვრება[3]

ორგანოთა დისფუნქციისთვის სტანდარტული კრიტერიუმი (მაგ: კარდიოვასკულარული, რესპირატორული, ნევროლოგიური, ჰემატოლოგიური, თირკმლის და ღვიძლის დისფუნქცია) განისაზღვრება პედიატრიული სეფსისის საერთაშორისო კონსენსუსის გაიდლაინის მიხედვით :

კარდიოვასკულარული დისფუნქცია:

- ჰიპოტენზია (განისაზღვრება როგორც სისტოლური სისხლის წნევა ამ ასაკობრივი ჯგუფის <5 პერცენტილი ან სისტოლური წნევა >2 სტანდარტული დევიაციები ამ ასაკობრივი ჯგუფის ნორმის ქვემოთ), ან
- ჰიპოტენზიისთვის ვაზოპრესორული წამლების საჭიროება, ან
- ნებისმიერი 2 ჩამოთვლილი გადახრიდან:
 - მეტაბოლური აციდოზი (ფუძის დეფიციტი SBE >5 მმოლი/ლ [>5 mEq/L])
 - არტერიულ შრატში ლაქტატის მომატებული დონე (ნორმაზე >2 ჯერ მეტი)
 - ოლიგურია (შარდის გამოყოფა <0.5 მლ/კგ/საათში)
 - კაპილარების გახანგრძლივებული ავსება (>5 წამი)
 - პერიფერული ტემპერატურის სხვადასხვაობის მომატება ($>3^{\circ}\text{C}$ [$>5.4^{\circ}\text{F}$])
- ეს დარღვევები უნდა შენარჩუნდეს 40 მლ/კგ სითხის ბოლუსის გადასხმის შემდეგ 1 საათის განმავლობაში.

რესპირატორული დისფუნქცია:

- არტერიული სისხლის აირების შემცველობის ნორმიდან გადახრა:

- P/F შეფარდება ($\text{PaO}_2/\text{მესუნთქული ჟანგბადის რაოდენობა}[\text{FiO}_2]) < 40$ (გულის ციანოზური დაავადების ან ადრე ცნობილი ფილტვის დაავადების არარსებობისას), ან
- $\text{PaCO}_2 > 8.64 \text{ kPa}$ ($> 65 \text{ mmHg}$) ან 2.66 kPa (20 mmHg) საბაზისო დონის ზემოთ, ან
- FiO_2 საჭიროება > 0.5 პულს ოქსიმეტრის გაჯერების $> 92\%$ შენსაარჩუნებლად, ან
- მექანიკური ვენტილაციის (ინვაზიური ან არაინვაზიური) საჭიროება.

ნევროლოგიური დისფუნქცია:

- გლაზგოს კომის სკალა (GCS) < 12 ქულა, ან
- გლაზგოს კომის სკალის მწვავე დაქვეითება პათოლოგიური საწყისიდან GCS > 3 ქულით.

ჰემატოლოგიური დისფუნქცია:

- თრომბოციტების რაოდენობა $< 80 \times 10^9/\text{L}$ ($< 80,000/\text{microlitre}$), ან
- თრომბოციტების რაოდენობის შემცირება უმაღლესი მაჩვენებლიდან 50%-ით ბოლო სამ დღეში, ან
- INR > 2 .

თირკმლის დისფუნქცია:

- შრატის კრეატინინი > 2 ჯერ ნორმის ზედა ზღვარზე ან
- სისხლის შრატის კრეატინინის დონის გაზრდა > 2 ჯერ საწყისი დონიდან.

ღვიძლის დისფუნქცია:

- საერთო ბილირუბინი $< 68 \text{ მიკრომოლი/ლ}$ ($> 4 \text{ მგ/დლ}$) (ახალშობილთა ასაკობრივი ჯგუფის გარდა), ან
- ალანინ ამინოტრანსფერაზა > 2 ჯერ ნორმის ზედა ზღვარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ორგანოს დისფუნქციის სტანდარტიზებული კრიტერიუმები არ ემყარება კლინიკურ შედეგებთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს.

სეფსისი: ამოცნობა, დიაგნოსტიკა და ადრეული მართვა (ჯანდაცვის და სამედიცინო დახმარების დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტი, 2017)[48]

ჯანდაცვის და კლინიკური დახელოვნების ეროვნულმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა სეფსისის დადგენის, დიაგნოსტიკის და ადრეული მართვის გაიდლაინი, რომელიც შეიცავს სავარაუდო სეფსისის მქონე ბავშვების და ახალშობილების რისკების სტრატეგიკაციის კრიტერიუმებს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

- 12 წლის და უფროსები [NICE: table 1 - risk stratification tool for adults, children and young people aged 12 years and over with suspected sepsis] (<https://www.nice.org.uk/guidance/ng51/resources/table-1-risk-stratification-tool-for-adults-children-and-young-people-aged-12-years-and-over-with-suspected-sepsis-2551487005>)
- 5დან-11 წლამდე [NICE: table 2 - risk stratification tool for children aged 5-11 years with suspected sepsis] (<https://www.nice.org.uk/guidance/ng51/resources/table-2-risk-stratification-tool-for-children-aged-5-11-years-with-suspected-sepsis-2551487008>)
- 5 წელზე ნაკლები ასაკი. [NICE: table 3 - risk stratification tool for children aged under 5 years with suspected sepsis] (<https://www.nice.org.uk/guidance/ng51/resources/table-3-risk-stratification-tool-for-children-aged-under-5-years-with-suspected-sepsis-2551487007>)

სპეციალური კრიტერიუმის გამოყენებით, რომელიც დაკავშირებულია პაციენტის ანამნეზთან, ქცევასთან, ვიზუალურ მონაცემებთან და კლინიკურ გამოკვლევებთან (მაგ: რესპირატორული, ცირკულაციის,

ჰიდრატაცია და ტემპერატურა) პაციენტები შეიძლება მიჩნეულ იქნან მძიმე დაავადების განვითარების დაბალ, საშუალო ან მაღალი რისკის და სეფსისის გამო სიკვდილის განვითარების ჯგუფებში.

ნეონატალური სეფსისის კლასიფიკაცია

ნეონატალური სეფსისი განსაზღვრულია, როგორც სეფსისის კლინიკური სინდრომი და/ან სისხლის ნაკადიდან პათოგენის იზოლაცია ჩვილში სიცოცხლის პირველი 28 დღის განმავლობაში.[6] სიმპტომები და კლინიკური ნიშნები ხშირად ნაკლებად არის გამოხატული ან უფრო შეუმჩნეველია, ვიდრე უფროსი ასაკის ბავშვებში. ახალშობილებში (0 დღიდან 1 კვირამდე) სეფსისის კლასიფიკაცია ჩვეულებრივ ხდება დაბადებიდან დაავადების განვითარების დროის მიხედვით:

- ადრეული ნეონატალური სეფსისი: ნეონატალური სეფსისი, რომელიც ხდება სიცოცხლის პირველი 72 საათის განმავლობაში.[7]
- გვიანი ნეონატალური სეფსისი: ნეონატალური სეფსისი, რომელიც ხდება სიცოცხლის პირველი 72 საათის შემდეგ.[8]

კლასიფიკაცია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

ფიზიოლოგიური ვარიაციებისა და ლაბორატორიული მონაცემების შეფასებისას ნორმალურ დიაპაზონთან მიმართებაში, გამოიყენება შეთანხმებული კლასიფიკაციის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფები:[3]

- ადრეული ნეონატალური პერიოდი: 0 დღიდან 1 კვირამდე
- გვიანი ნეონატალური პერიოდი: 1 კვირიდან 1 თვემდე
- ჩვილი: 1 თვიდან < 2 წლამდე
- პატარა ბავშვი და სკოლამდელი: ≥ 2 წლიდან < 6 წლამდე
- სასკოლო ასაკის ბავშვი: ≥ 6 წლიდან < 13 წლამდე
- მოზარდი და ახალგაზრდა მოზარდილი: ≥ 13 წლიდან < 18 წლამდე.

აღსანიშნავია რომ დღენაკლული ჩვილები არ შედის ამ ასაკობრივ კლასიფიკაციაში.

სკრინინგი

უსიმპტომო პოპულაციაში სეფსისზე სკრინინგი არ არის სასარგებლო. თუმცა, ნაჩვენებია იყოი, რომ ორსულობის დროს დედის კოლონიზაციაზე სკრინინგი B ჯგუფის სტრეპტოკოკებით (GBS) ზოგიერთ პირობებში აქვეითებს GBS ტვირთს ახალშობილებში.[87]

GBS სკრინინგი ორსულობის დროს

B ჯგუფის სტრეპტოკოკი (GBS - Group B Streptococcus) ორსულობაში GBS-ის სკრინინგი საკმაოდ და არ ხდება მისი პრაქტიკაში გამოყენება განვითარებული მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მაგალითად, არ არსებობს სკრინინგ პროგრამა დიდ ბრიტანეთში, იქედან გამომდინარე რომ მიაჩნიათ სკრინინგ ტესტები ვერ აღგენს GBS-ის მატარებლებს, რომელთა ბავშვებსაც ექნებათ ინვაზიური GBS დაავადება.

2002 წელს შემოღებულ იქნა GBS-ით გამოწვეული ადრეული ნეონატალური სეფსისის (EOS) პრევენციის აშშ გაიდლაინები, რომლებითაც რეკომენდებულია ყველა ორსული ქალის უნივერსალურ სკრინინგი ორსულობის 35-37 კვირაზე. სკრინინგის მიზანი იყო GBS-ის ახალშობილისთვის (0 დღიდან 1 კვირამდე) გადაცემის რისკის მქონე ქალების გამოვლენა; ამ ქალებს ინტრანატალურად უნდა მიეღოთ ანტიბიოტიკები. ამ პროგრამის შემოღების შემდეგ მიღწეულ იქნა GBS-ით გამოწვეული EOS მკვეთრი შემცირება.[88] გაიდლაინებისა და სკრინინგ პროგრამის ეფექტების რეგულარული გადახედვა და განახლება ხდება. გაიდლაინის ბოლო ვერსია აგრძელებს რეკომენდაციას უნივერსალურ სკრინინგთან დაკავშირებით ორსულობის 35-37-ე კვირაზე.[89]

მიდგომა

სეფსისის მართვა ბავშვებში მოითხოვს სეფსისის სწრაფ ამოცნობას. ბავშვთა სიკვდილობის მონაცემების მიხედვით, ხშირად ვერ ხერხდება სეფსისის მძიმე ფორმისა და სეპტიკური შოკის ამოცნობა, შესაბამისად ყოვნადა ან შეუსაბამოა მკურნალობა ჯანმრთელობის მომსახურების სფეროსთან პირველი კონტაქტისას.[90] [91] ამიტომ, მშობლებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების განათლებას სეფსისის ადრეული ნიშნების ამოცნობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სტანდარტული ABC (სასუნთქი გზები, სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა) მეთოდი ანტიბიოტიკების ადრეულ შეყვანასთან და რეჰიდრატაციასთან ერთად არის სეფსისის და სეპტიკური შოკის მქონე ბავშვებში დაავადების მართვის ძირითადი კომპონენტი.[58] [92]

პედიატრიული სეფსისი ექსი (Paediatric Sepsis Six)

რამდენიმე კვლევამ აჩვენა პროტოკოლიზებული მკურნალობის და მკურნალობის პაკეტების მნიშვნელობა პედიატრიული სეფსისის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შემუშავებულია და დანერგულია ჯანდაცვის ადგილობრივი სისტემის ნიუანსების გათვალისწინებით.[5] [93] [94] [95] [96] [97] Paediatric Sepsis Six ინიციატივა არის სამედიცინო დახმარების პაკეტის მაგალითი, რომელიც შეიქმნა სეფსისის სწრაფი მართვის ხელშესაწყობად მკურნალობის 6 ელემენტის დროული გამოყენებით.

შემდეგი 6 ინტერვენციის დაწყება რეკომენდებულია საეჭვო სეფსისის გამოვლენიდან 1 საათის განმავლობაში:[98]

- უნდა ჩაერთოს გამოცდილი უფროსი ექიმები ან სპეციალისტები და მოხდეს მათთან კონსულტაცია.
- დამატებითი ჟანგბადი უნდა მიეცეს, თუ ჟანგბადის გაჯერება 92%-ზე ნაკლებია ან არსებობს შოკის ნიშნები.
- ინტრავენური ან ძვალშიდა (IO) მიწოდება უნდა განხორციელდეს გამოვლენიდან 5 წუთის განმავლობაში და უნდა მოხდეს სისხლის ტესტების დანიშვნა, მათ შორის სისხლის კულტურის, სისხლში გლუკოზის დონის განსაზღვრა (სისხლში გლუკოზის დაბალი დონის მკურნალობაა საჭირო) და არტერიული ან ვენური სისხლის აირები. უნდა მოხდეს სისხლის საერთო ანალიზის, სისხლის შრატში ლაქტატის ანალიზის და CPR-ის ჩატარება საწყისი შეფასებისთვის.
- ინტრავენური ან ძვალშიდა ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები უნდა დაიწყო ადგილობრივი პოლიტიკის გათვალისწინებით.
- გასათვალისწინებელია რეჰიდრატაციის საკითხი. თუ ლაქტატი არის >2 მმოლ/ლ, მიეცით სითხის ბოლუსი 10 მლ/კგ დაუყოვნებლად და გამოიძახეთ პედიატრიული ინტენსიური თერაპიის განყოფილება (PICU), თუ ეს არის >4 მმოლ/ლ. სიფრთხილზეა საჭირო სითხით გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად, ამისთვის საჭიროა პაციენტის რეგულარული გასინჯვა (მაგ., ფილტვებში კრეპიტაცია და ჰეპატომეგალიაზე).
- ვაზოპრესორ-ინოტროპული მხარდაჭერა უნდა განიხილებოდეს ადრეულ პერიოდში, თუ ნორმალური ფიზიოლოგიური პარამეტრები არ აღდგა ≥ 20 მლ/კგ სითხის მიცემის შემდეგ (ან ≥ 10 მლ/კგ ახალშობილებში). ამ ეტაპზე სასწრაფოდ აცნობეთ PICU-ს ან რეგიონულ ცენტრს ამ ეტაპზე.

სასუნთქი გზებისა და სუნთქვის უზრუნველყოფა

უნდა მოხდეს სასუნთქი გზების და სუნთქვის მართვა სიცოცხლის გადარჩენის და რეანიმაციის პედიატრიული ალგორითმების შესაბამისად.

პაციენტის სასუნთქი გზების გამავლობის შენარჩუნება ყოველთვის უნდა ხდებოდეს; სეფსისის ან სეპტიური შოკის მქონე ყველა პაციენტი არ საჭიროებს ინტუბაციას და ვენტილაციას. ინტუბაცია რეკომენდებულია, როდესაც საჭიროა რესპირატორული დახმარება ან თუ პაციენტებს აქვთ დაქვეითებული ცნობიერება. მექანიკური ვენტილაცია აქვეითებს გულის წუთმოცულობას კარდიოვასკულარული სისტემის ფუნქციის დარღვევის მქონე პაციენტებში სუნთქვის ძალისხმევის შემცირების და მარცხენა პარკუჭის ფუნქციაზე დადებითი ზემოქმედების გზით.[99] ინტუბაციისთვის ანესთეზიის შეყვანისას ექიმი მზად უნდა იყოს კარდიოვასკულარული კოლაფსის და/ან გულის გაჩერებისთვის. სითხით თანმდევი რეანიმაცია და ინოტროპის გამოყენება უნდა განიხილებოდეს ანესთეზიის ინდუქციის დროს. რეკომენდებულია შედარებით სტაბილური კარდიოვასკულარული პროფილის მქონე საანესთეზიო საშუალებები (მაგ.: კეტამინი ატროპინით).[92] ანესთეზიისთვის სეპტიკური შოკის მქონე ბავშვებში ეთომიდატის გამოყენება არ არის რეკომენდებული, თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის დათრგუნვის პრობლემების გამო.[5]

საჭიროა დამატებითი ჟანგბადის მიწოდება, თავდაპირველად, მაღალი კონცენტრაციით, თუ ადგილი აქვს კარდიოვასკულარულ არასტაბილურობას ან შოკს.[92] მიწოდება, უმჯობესია, მოხდეს ახალშობილებისთვის მესატყვისი ნილბის მეშვეობით ან ჟანგბადის კარავის საშუალებით ჟანგბადის ტიტრაცია უნდა მოხდეს პულსოქსიმეტრიის შესაბამისად, პაციენტის ჰემოდინამიკური სტაბილურობის პირობებში მიზანია ჟანგბადით სატურაცია >94%. საჭიროა სიფრთხილე დღენაკლულ ახალშობილებში ან სავარაუდო გულის თანდაყოლილი დაავადების მქონე ახალშობილებში.

საწყისი რეჰიდრატაცია

ინტრავასკულარული სივრცეებიდან სითხის უხვი კარგვა სეფსისის დროს ხდება კაპილარული გაჟონვის გამო და შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღის განმავლობაში. რეჰიდრატაცია მიზნად ისახავს პაციენტის ნორმალური გულისცემის, სისხლის წნევის და კაპილარული ავსების დროის აღდგენას.[92]

უპირატესი სითხის არჩევა დავის საგანია, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სითხე იზოტონურია. პედიატრიული კამპანია Surviving Sepsis-ის გაიდლაინები რეკომენდაციას უწევს პირველადი რეანიმაციისთვის დაბალანსებული/ბუფერული კრისტალოიდური ხსნარების გამოყენებას (ჰარტმანის ხსნარი, ან ლაქტაციური რინგერის ხსნარი), ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ ხსნართან ან ალბუმინთან შედარებით. თუმცა არ არსებობს მაღალი ხარისხის პედიატრიული მონაცემები, მოზრდილებში ობსერვაციული და ინტერვენციული კვლევების მტკიცებულებები მონშობენ დაბალანსებული ხსნარების გამოყენების სასარგებლოდ ფიზიოლოგიურ ხსნარში ქლორიდის შემცველობის გამო, რადგან მათი დიდი რაოდენობით გამოყენებისას ინვევენ ჰიპერქლორემიულ მეტაბოლურ აციდოზს.[5]

ამჟამად არასაკმარისი მტკიცებულებებია ბავშვებში კოლოიდების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ რეკომენდაციის გასაწევად.[100] [101] [102] [Evidence B] სახამებლის შემცველი ხსნარები (ჰიდროქსიეთილ სახამებლის ჩათვლით (HES)) არ უნდა იქნას გამოყენებული სეფსისის მართვისას, რადგან არსებობს მტკიცებულებები, რომ ზრდის თირკმელების ფუნქციის დარღვევისა და სიკვდილობის რისკს.[105] [106] [107]

2022 წლის თებერვალში ევროპის მედიკამენტების სააგენტოს ფარმაკოზედამხედველობის რისკის შეფასების კომიტეტმა, ამ პაციენტებისთვის არსებული სერიოზული რისკების გათვალისწინებით, რეკომენდაცია გაუწია ევროპაში საინფუზიო HES ხსნარების გამოყენების შეჩერებას.[108] სეფსისის დაძლევის კამპანია რეკომენდაციას არ უწევს სახამებლის გამოყენებას სეფსისის და სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში.[109] 2021 წლის ივლისში აშშ-ში, სურსათისა და წამლის სააგენტომ (FDA) გამოსცა უსაფრთხოების ეტიკეტირების ცვლილებები HES-ის შემცველი ხსნარებისთვის, სადაც აღნიშნულია,

რომ HES პროდუქტები არ უნდა იყოს გამოყენებული, თუ ადეკვატური ალტერნატიული მკურნალობა მიუწვდომელია.[110]

ვაზოაქტიური ინოტროპული დახმარება უნდა მოხდეს სითხის მიმართ რეფრაქტერული შოკის ადრეულ ეტაპზე.

საწყისი მართვა სითხით, გარემოებებიდან გამომდინარე

პედიატრიული კამპანია Surviving Sepsis-ის გზამკვლევი სითხის საწყისი გადასხმის საკითხზე გვიჩვენებს, სითხით მართვას იმის მიხედვით, მკურნალობს თუ არა ბავშვი ცენტრში, სადაც ხელმისაწვდომია ინტენსიური მოვლის სერვისი:[5]

- თუ ინტენსიური თერაპიის განყოფილება ხელმისაწვდომია, პირველი საათის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ბოლუსური დოზით 40 მლ/კგ – 60 მლ/კგ სითხის გადასხმა (ინდივიდუალური დოზით 10-20 მლ/კგ ერთ ჯერზე). ტიტრირება ხდება გულის წუთმოცულობის კლინიკურ პარამეტრების მიხედვით და უნდა შეწყდეს სითხით გადატვირთვის ნიშნების განვითარების შემთხვევაში თუ ბავშვს აღენიშნება პათოლოგიური პერფუზია 40-60 მლ/კგ სითხის შემდეგ Surviving Sepsis Campaign-ის მიხედვით (ან 20 მლ/კგ სეფსისი 6 ინსტრუმენტარიუმის მიხედვით), ან უფრო ადრე, თუ მას განუვითარდება სითხის გადატვირთვა, მკურნალობა უნდა გაიზარდოს მოიცავს ინოტროპების/ვაზოპრესორების ინიცირებას, რომლებიც, როგორც წესი, მიცემული იქნება კრიტიკული მოვლის გარემოში.
- თუ არ არსებობს კრიტიკული მედიცინის ხელმისაწვდომობა და ბავშვი ნორმოტენზიულია, შემანარჩუნებელი სითხეები უნდა დაიწყოს ბოლუსური სითხის მიღების გარეშე. ეს რეკომენდაცია ეფუძნება FEAST-ის კვლევას, რომელშიც სწრაფი ბოლუსური დოზით სითხის გადასხმა მიმდინარეობდა არასაკმარისი რესურსების გარემოში, რამაც გაზარდა სიკვდილობა სითხეების მხოლოდ შემანარჩუნებელ დოზასთან შედარებით.[111] [112]
- თუ კრიტიკული მკურნალობის სერვისი ხელმისაწვდომი არ არის და ბავშვს აქვს ჰიპოტენზია, რეკომენდებულია 40 მლ/კგ-მდე ბოლუსური სითხე პირველი საათის განმავლობაში, მიცემული ცალკეული 10-20 მლ/კგ ბოლუსების სახით და ტიტრირება გულის წუთმოცულობის კლინიკური მარკერების მიხედვით. ეს უნდა შეწყდეს, თუ განვითარდება სითხით გადატვირთვის ნიშნები (ანუ სუნთქვის სიხშირის გაზრდა, ფილტვის კრეპიტაცია, ჰეპატომეგალია, გალოპის რილმი).

შეიძლება საჭირო გახდეს დიდი ოდენობით სითხის მიწოდება მოცირკულირე მოცულობის შესანარჩუნებლად.

სითხის არასწორი განაწილების გამო, უჩვეულო არ იქნება სეპტიკური შოკის მქონე ბავშვისთვის მიიღოს >100მლ/კგ რეპიდრატაცია ჰოსპიტალიზაციიდან პირველი 24 საათის განმავლობაში. თუმცა, საჭიროა მათი მჭიდრო მონიტორინგი სითხით გადატვირთვის ნიშნების აღმსაცნობად. სითხის გადატვირთვის იდენტიფიცირება განსაკუთრებით რთულია მცირეწლოვან ბავშვებში, რომლებშიც ხშირად არ ვლინდება ხიხინი რესპირატორული გამოკვლევის დროს, თუნდაც ფილტვის მკაფიო შეშუპების პირობებში. რესპირატორული სტატუსის გაუარესება, განსაკუთრებით სუნთქვის სიხშირის გაზრდა, ფილტვის შეშუპების რადიოლოგიური მტკიცებულება ან ახალი ან გაფართოებული ჰეპატომეგალია შეიძლება იყოს ერთადერთი მინიშნება სითხით გადატვირთვის შესახებ.[5]

სითხის შენარჩუნების საჭიროებები

იცვლება კლინიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და უნდა შეფასდეს და მოერგოს თითოეული ბავშვის საჭიროებებს. სითხეების საჭიროების გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი განტოლება:

- (4 მლ/კგ პირველი 10 კგ-ისთვის) + (2 მლ/კგ თითოეული კილოგრამისთვის 11-20 შორის) + (1 მლ/კგ თითოეული კგ-ისთვის >20) = საათობრივი სისხშირე.

მაგალითად, 23 კილოგრამიან ბავშვში სითხეების მოცულობის შენარჩუნების საათობრივი გამოთვლა:

- (4 მლ x 10 კგ) + (2 მლ x 10 კგ) + (1 მლ x 3 კგ) = საათობრივ სისხშირეს
- 40 მლ + 20 მლ + 3 მლ = 63 მლ/საათში.

ამ განტოლებით შეფასებული სითხეების საჭიროება ხშირად გადაჭარბებულია. ზოგადი რჩევაა სითხეების შეზღუდვა განტოლების სფუძველზე გამოთვლილი სითხის საჭირო რაოდენობის 60% - 80%-მდე. გამომდინარე იქიდან, რომ სეფსისის მქონე ბავშვებს ხშირად აქვთ წყლის შეკავება ანტიდიურეზული ჰორმონის არაადეკვატური სეკრეციის სინდრომის გამო. ამის საწინააღმდეგოდ, წყლის შეუმჩნეველი კარგვა შეიძლება გაიზარდოს თუ ბავშვს აქვს მნიშვნელოვანი ცხელება.

მნიშვნელოვანია სითხეების მონიტორინგი ჰიდრატაციის სტატუსის, სითხის ბალანსის, თირკმლის ფუნქციისა და სისხლის შრატის ელექტროლიტების დონის განხილვასთან ერთად.

ჯანდაცვისა და კლინიკური დახელოვნების ეროვნულმა ინსტიტუტებმა გამოაქვეყნეს გაიდლაინები სეფსის და ინტრავენური სითხის გამოყენების შესახებ ჰოსპიტალიზებულ ბავშვებსა და ჩვილებში.[48] [113] [Evidence B] [Evidence C] ჯანდაცვის და სამედიცინო დახმარების დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტის სეფსისის გაიდლაინი რეკომენდაციას უწევს, რომ პაციენტის ასაკი, რისკფაქტორების პროფილი და ლაქტატის დონე უნდა იყოს მიმართული რეჰიდრატაციისკენ.[48]

სითხის ბალანსის შემდგომი შენარჩუნება

პაციენტებში, რომლებსაც არ შეუძლიათ ბუნებრივად სითხის თანაბარი ბალანსის შენარჩუნება ადექვატური ინფუზიური რეანიმაციის შემდეგ, შეიძლება ნაჩვენები იყოს დიურეზი ან თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია.[5]

სითხით გადატვირთვა ხშირია კრიტიკულად ავადმყოფ ბავშვებში ჰემოდინამიკურ არასტაბილურობასთან და თირკმლის მწვავე უკმარისობასთან ერთად და მნიშვნელოვანია კლინიკური ნიშნების მონიტორინგი (მაგ: ფილტვში სველი ხიხინი აუსკულტაციისას, ჰეპატომეგალია და სანყისი მონაცემიდან >10%იანი წონის მატება).

შარდმდენების აღრეული დაწყება და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის უწყვეტი კურსი უნდა იქნას განხილული თუ მოხდება სითხეებით გადატვირთვა. თირკმლის მწვავე დაზიანებისას და სითხეებით გადატვირთვისას, არსებობს მზარდი მტკიცებულება რომ თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის აღრეული გამოყენება და სითხეების ბალანსირების მენეჯმენტი განაპირობებს გადარჩენას.[115] [116]

ვენოარტერიული ექსტრაკორპორალური მემბრანული ოქსიგენაცია (ECMO) შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც სათადარიგო თერაპია სეპტიკური შოკის მქონე ბავშვებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეზისტენტულნი არიან ყველა სხვა მკურნალობის მიმართ.[5]

ანტიბიოტიკებით მკურნალობა

ანტიბიოტიკების აღრეული დაწყება ზრდის გადარჩენადობას. ანტიბიოტიკების დაწყება სავარაუდოდ სეფსისის ამოცნობიდან ერთი საათის განმავლობაში, წარმოადგენს ერთ-ერთი ჩარევას პედიატრიული Sepsis Six მოვლის პროტოკოლის შესაბამისად.[58] პედიატრიული კამპანია, Surviving Sepsis-ის გაიდლაინები რეკომენდაციას უწევს ანტიბიოტიკების გამოყენებას რაც შეიძლება მალე, სეფსისის ამოცნობიდან 1 საათის განმავლობაში თუ სეპტიკური შოკის ნიშნები ვლინდება.[5]

სამედიცინო სამეფო კოლეჯების აკადემიამ (AOMRC) გამოაქვეყნა განცხადება 2022 წლის მაისში (შესწორებულია 2022 წლის ოქტომბერში), რომელშიც რეკომენდაციას უწევს ანტიმიკრობული თერაპიის დრო დაფუძნებული იყოს დაავადების სიმძიმეზე, რომელსაც ხელმძღვანელობს პედიატრიული ადრეული გაფრთხილების ეროვნული ინსტრუმენტი (PEWS).[117] ის ამტკიცებს, რომ ნებისმიერ უსიამოვნო ბავშვს (მაგ., მძიმე სეფსისის ან სეპტიური შოკის ნიშნებით) ან მათ, ვინც ნაციონალურ PEWS-ზე ქულით >9-ს მიაღწია, უნდა მიიღოს ანტიბიოტიკები სეფსისის ამოცნობიდან 1 საათის განმავლობაში; ხაზს უსვამს, რომ სიკვდილიანობის ყველაზე ძლიერი მტკიცებულება ადრეული ანტიბიოტიკების სარგებლობის შესახებ ჩანს ყველაზე ცუდად დაავადებულ პაციენტებში.[118] [119]

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

» როდესაც არსებობს ინფექციის ლოკალიზებული წყაროს აღბატობა, რომელიც მხოლოდ ანთიბიოტიკებით ვერ იკურნება, საჭიროა ფიზიკური გამოკვლევა რათა მოშორებულ იქნას ინფექციის წყარო.

» რესურსების კონტროლის პრინციპი ერთნაირია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის, თუმცა პრაქტიკაში შეიძლება განსხვავდებოდნენ ინფექციის წყაროს მიხედვით. წყაროს კონტროლის მაგალითებია:

» აბსცესის გაჭრა და ღრენაჟი ან ინფიცირებული სითხის შეგროვება; დაინფიცირებული რბილი ქსოვილის სანაცია; ინფიცირებული

მწვავე

უცხო სხეულის მოშორება; შარდის კათეტერის მოშორება საშარდე ტრაქტიდან განვითარებული სეფსისის შემთხვევაში; თუ ინფექციის წყაროა კანქვეშა გრძელი ხაზების ან ცენტრალური სისხლძარღვოვან კათეტერი დაუყოვნებლივ მოხდეს კათეტერის ამოღება მოშორება. იშემიური ნაწლავის (ან დარღვეული კონტროლის ოპერაცია) ლაპარატომია და რეზექცია მანევროზებელი ენტეროკოლიტის შემთხვევაში.

დამატებით სისხლის გადასხმა

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

» ჰემოგლობინი აუცილებელია ქსოვილებისთვის ჟანგბადის მისაწოდებლად, შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია სეფსისის მქონე ბავშვის მკურნალობისთვის, რომელიც ჰემოდინამიკურად არასტაბილურია (გულის დაბალი წუთმოცულობა, დაბალი საშუალო არტერიული წნევა) და დარღვეულია ჟანგბადის მიწოდება. მიჩნეულია, რომ ამ პაციენტებში უნდა შევიწინარჩუნოთ ჰემოგლობინის კონცენტრაცია $>10\text{ გ/დლ}$ (ჰმატოკრიტი დაახლოებით 0.3) ,

» მას შემდეგ რაც შოკი მოიხსნება შეიძლება შესაფერისი იყოს დაბალი ტრანსფუზიის ზღურბლი. TRIPICU (ტრანსფუზიის საჭიროება პედიატრიულ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში) სუბჯგუფის კვლევისას, ჰემოდინამიკურად სტაბილური სეფსისის მქონე ბავშვებში არ დაფიქსირდა სიკვდილობის, ჰოსპიტალიზაციის ან ორგანოს უკმარისობის პროგრესირების მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავება ზღურბლიდან რესტრიქციულ და ლიბერალურ ტრანსფუზიებს შორის (ჰემოგლობინი $<7\text{ გ/დლ}$ vs $<9.5\text{ გ/დლ}$).^[141] თუმცა მოხდა პროტოკოლის და ტრანსფუზიის დროებითი შეჩერება რესტრიქციულ ჯგუფში. TRISS (ტრანსფუზიის საჭიროება სეპტიკური შოკისას) კვლევაში, სეპტიური შოკის მქონე მოზრდილ პაციენტებში 90 დღეში არ დაფიქსირდა სიკვდილობის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და გვერდითი ეფექტების მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავება ტრანსფუზიებს შორის $<7\text{ გ/დლ}$ და $<9\text{ გ/დლ}$ ზღურბლიდან.^[142]

» ჰემოდინამიკურად არასტაბილურ ბავშვებში რესტრიქციული ტრანსფუზიის ზღურბლის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია არ არის საკმარისი, განსაკუთრებით სეპტიკური შოკის დროს და ტრანსფუზია 10 გ/დლ -მდე, რათა მიღწეულ იქნას ჟანგბადის ადეკვატური მიწოდების ნიშნები ($\text{ScvO}_2 \geq 70\%$) ამჟამად რეკომენდებულია ამერიკის კრიტიკული მკურნალობის კოლეჯის მიერ.^[92]

მწვავე

■ ადრეული ნეონატალური სეფსისი (სიცოცხლის პირველი 72 საათი)

დამატებით კორტიკოსტეროიდი

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

» სეპტიკური შოკის მქონე ბავშვების სამკურნალოდ ინტრავენური ჰიდროკორტიზონი რეკომენდებული არ არის პედიატრიული გაიდლაინებით იმ შემთხვევაში, თუ სითხით რეანიმაცია და ვაზოპრესორებით თერაპია საკმარისია ჰემოდინამიკური სტაბილურობის აღსადგენად, მაგრამ შეიძლება განიხილებოდეს სითხის მიმართ რეფრაქტერული და ინოტროპების მიმართ რეზისტენტული შოკის დროს. ამჟამად არც ერთი მაღალი ხარისხის კვლევა არ უჭერს მხარს ან უარყოფს დამხმარე კორტიკოსტეროიდების რუტინულ გამოყენებას პედიატრიული სეპტიური შოკის ან სეფსისთან დაკავშირებული ორგანოების დისფუნქციის სამკურნალოდ. მათი გამოყენების მტკიცებულებები ხშირად ურთიერთგამომრიცხავი იყო.[5] [143] თუმცა, ბავშვებში სითხის მიმართ რეზისტენტული და ინოტროპების მიმართ რეზისტენტული შოკის დროს, როდესაც არსებობს სავარაუდო ან დამტკიცებული თირკმელზედა ჯირკვლის აბსოლუტური უკმარისობა, ჰიდროკორტიზონის გამოყენების შესახებ მონაცემები მცირეა.[5] [144]

დამატებით ემპირიული ანტიბიოტიკთერაპია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ყველაპაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» **ამპიცილინი/ამპიცილინი:** 100-200 მგ/კგ/დღეში ინტრავენურად, დაყოფილი დოზები ყოველ 6-12 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია -Penicillium marneffe-

» **გენტამიცინი:** 4-5მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 24-48 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

ან

» **ნატრიუმ ბენზილპენიცილინი:** 25-50 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 12 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია -Penicillium marneffe-

მწვავე

» გენტამიცინი: 4-5 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 24-48 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

» სეფსისის მძიმე ფორმის დადგენისას შეყვანა ხდება 1 საათში.[5] [48] [109]

» უნდა ფარავდეს B ჯგუფის სტრეპტოკოკებსა და გრამ უარყოფით ბაცილებს.

» ანტიბიოტიკების რეჟიმის შერჩევა დაფუძნებული უნდა იყოს კლინიკურ სინდრომზე, რომელიც საფუძვლად უდევს მიმდინარე დაავადებას, წამლის აუტანლობასა და ადგილობრივი პათოგენისადმი მგრძნობელობაზე. მტკიცებულება არასაკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ნებისმიერი ანტიბიოტიკის რეჟიმი ადრეული ნეონატალური სეფსისის დროს უპირატესია სხვებთან შედარებით. საჭიროა ფართომასშტაბიანი რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევების ჩატარება.[126]

» შესაფერისი ემპირიული ანტიბიოტიკების რეჟიმის მაგალითია ამპიცილინის პლუს გენტამიცინი.[7] ჯანდაცვის და კლინიკური დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტი რეკომენდაციას უწევს ბენზილპენიცილინი პლუს გენტამიცინის გამოყენებას.[81] მას შემდეგ რაც მოხდება გამომწვევი პათოგენის დადგენა მოქმედების ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები უნდა ჩანაცვლდეს მოქმედების ვიწრო სპექტრის ანტიბიოტიკებით.

» კარგი პრაქტიკაა, ყოველდღიურად გადახედოთ ანტიბიოტიკოთერაპიას, კლინიკური ეფექტის მისაღწევად და საჭიროების შემთხვევაში დეესკალაციის მიზნით. ინტრავენური ანტიბიოტიკების 5-7 დღიანი კურსი საკმარისია გაურთულებელი ინფექციების უმეტესობის დროს. ღრმა ან დისემინირებული ინფექციისას ან დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პაციენტებში ინფექციისას შეიძლება საჭირო გახდეს ანტიმიკრობული თერაპიის გახანგრძლივებული კურსი.

დამატებით ანტივირუსული თერაპია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» აციკლოვირი: 20 მგ/კგ ინტრავენურად, 8 საათში ერთხელ

მწვავე

» ჰერპეს სიმპლექს ვირუსის დაფარვა (მაგ: აციკლოვირი) განხილულ უნდა იქნას სეფსისის მძიმე შემთხვევებისას ან თუ არის მითითებული პაციენტის ანამნეზში. მარტივი ჰერპეს ვირუსი ტიპი 1 (HSV-1) ინფექცია შეიძლება შეძენილი იყოს დაბადებისას აქტიური ინფექციის მქონე დედისგან. თანდაყოლილი მარტივი ჰერპეს ვირუსი ტიპი 1 ინფექცია შეიძლება იყოს მძიმე და გამანადგურებელი; შესაბამისად ამ პაციენტებში მკურნალობის დაწყება უნდა მოხდეს გამოკვლევების შედეგებამდე.

დამატებით ნისტატინი

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» ნისტატინი: 100 000 ერთეული (1მლ) ორალურად დღეში ოთხჯერ

» ანტიბიოტიკოთერაპიის მიღებისას სოკოს სანინალმდეგო წამლების პროფილაქტიკის მიზნით გამოყენების შესახებ არის აზრთა სხვაობა. დაწესებულებებს შორის. თუმცა, candidiasis პრევენციისთვის ახალშობილებში შეიძლება დაინიშნოს ორალური ნისტატინი.[81]

დამატებით პროსტაგლანდინები

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» ალპროსტადილი: 0.05 - 1 მიკროგრამი/კგ/წუთში ინტრავენური ინფუზია სანყისად, ტიტრაცია ხდება კლინიკური პასუხიდან გამომდინარე, მაქსიმუმია 0.4 მიკროგრამი/კგ/წუთში

მეორეული ვარიანტები

» დინოპროსტონი: დაუკავშირდით სპეციალისტს დოზირებასთან დაკავშირებით.

» სეპტიკური შოკის განსხვავება რთულია შოკის სხვა ფორმებისგან როდესაც ეს განვითარებულია დღენაკლულ ახალშობილებსა და ახალშობილებში 0 დღიდან 1 კვირამდე. ნებისმიერი ახალშობილი, რომელიც არის 72 საათზე ნაკლები და რომელსაც აქვს კარდიოგენური შოკის ნიშნები (მაგ: ცუდი პერფუზია, ციანოზი, გულის შუილი, ჰეპატომეგალია, პულსის მოცულობისა და კიდურის წნევის სხვაობა ზედა და ქვედა კიდურებს შორის) უნდა დაენიშნოს პროსტაგლანდინის ინფუზია

მწვავე

- გვიანი ნეონატალური სეფსისი (სიცოცხლის პირველი 72 საათიდან -1 თვემდე)

დამატებით

(ე.ი ალპროსტადილი) გამოცდილი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, ვიდრე არ გამოირიცხება სადინართან დაკავშირებული გულის დაზინება..

» ალპროსტადილს შეუძლია აზნოეს გამონევა გარკვეული დოზის შემდეგ. დინოპროსტონი გამოიყენება ზოგიერთ ქვეყანაში სადინარის ღია მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ყველაპაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» **ამპიცილინი/ამპიცილინი:** 100-200 მგ/კგ/დღეში ინტრავენურად, დაყოფილი დოზები ყოველ 6-12 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

--და--

» **გენტამიცინი:** 4-5მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 24-48 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

-იყოს-

» **ცეფოტაქსიმი:** 100-150 მგ/კგ/დღეში ინტრავენურად, დაყოფილი დოზები ყოველ 8-12 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

ან

» **ვანკომიცინი:** 10-15მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 8-24 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

--და--

» **გენტამიცინი:** 4-5მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 24-48 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

-იყოს-

» **ცეფოტაქსიმი:** 100-150 მგ/კგ/დღეში ინტრავენურად, დაყოფილი დოზები ყოველ 8-12 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

» სეფსისის მძიმე ფორმის დადგენისას შეყვანა ხდება 1 საათში.[5] [48] [109]

მწვავე

» უნდა დაფაროს კოაგულაზა-უარყოფითი სტაფილოკოკი, B ჯგუფის სტრეპტოკოკები და გრამ უარყოფითი ბაქტერიები.

» ანტიბიოტიკების რეჟიმის შერჩევა დაფუძნებული უნდა იყოს კლინიკურ სინდრომზე, რომელიც საფუძვლად უდევს მიმდინარე დაავადებას, წამლის აუტანლობასა და ადგილობრივი პათოგენისადმი მგრძნობელობაზე. მტკიცებულება არასაკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ნებისმიერი ანტიბიოტიკის რეჟიმი მოგვიანებითი ნეონატალური სეფსისის დროს უპირატესია სხვებთან შედარებით. საჭიროა ფართომასშტაბიანი რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევების ჩატარება.[151]

» მეტრონიდაზოლი ან კლინდამიცინი შესაფერისი ემპირიული ანტიბიოტიკების რეჟიმის მაგალითია ამპიცილინის დამატებით გენტამიცინი ან ცეფოტაქსიმი, ან ვანკომიცინის დამატებით გენტამიცინი ან ცეფოტაქსიმი. მას შემდეგ რაც მოხდება გამომწვევი პათოგენის დადგენა მოქმედების ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები უნდა ჩანაცვლდეს მოქმედების ვიწრო სპექტრის ანტიბიოტიკებით.

» ამპიცილინი ფარავს ლისტერია მონოციტოგენეზის (*Listeria monocytogenes*). ცეფოტაქსიმი ფარავს B ჯგუფის სტრეპტოკოკს, ეშერიხია კოლი, და ენტეროკოკს. გენტამიცინი ფარავს გრამ უარყოფით ბაქტერიას. ვანკომიცინი ფარავს კოაგულაზა ნეგატიურ სტაფილოკოკს და შეუძლია ჩანაცვლოს ამპიცილინი საავადმყოფოში შეძენილი ინფექციის შემთხვევაში.

» კარგი პრაქტიკაა, ყოველდღიურად გადახედოთ ანტიბიოტიკოთერაპიას, კლინიკური ეფექტის მისაღწევად და საჭიროების შემთხვევაში დეესკალაციის მიზნით. ინტრავენური ანტიბიოტიკების 5-7 დღიანი კურსი საკმარისია გაურთულებელი ინფექციების უმეტესობის დროს. ღრმა ან დისემინირებული ინფექციისას ან დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პაციენტებში ინფექციისას შეიძლება საჭირო გახდეს ანტიმიკრობული თერაპიის გახანგრძლივებული კურსი.

დამატებით ფსევდომონას სამკურნალო ანტიბიოტიკი

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» ცეფტაზიმი: 50 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 8-12 საათში (დამოკიდებულია ასაკსა

მწვავე

და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

ან

» **პიპერაცილინი/ტაზობაქტამი:** 75-100მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 6-12 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია დოზა მიმართულია პიპერაცილინის კომპონენტისკენ.

» **ფსევდომონა (როგორც წესი საავადმყოფოში შეძენილი)** მკურნალობა ხდება ცეფტაზიმიდით ან პიპერაცილინი/ტაზობაქტამით, რომელიც ემატება ემპირიულ რეჟიმს. თუმცა ზოგიერთი ექიმი რეკომენდაციას უწევს ნებისმიერი ამ ანტიბიოტიკის გამოყენებას, როგორც მონოთერაპიის, ვინაიდან დაფარვის სპექტრი გადაფარავს ემპირიულ რეჟიმს. უნდა მოხდეს ინფექციონისტთან კონსულტაცია.

დამატებით

ანტიბიოტიკი ფარავს ანაერობებს/ მანეკროზებელ ენტეროკოლიტს

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» **მეტრონიდაზოლი:** 7.5 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 24-48 საათში, ან 15მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 12-24 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

ან

» **კლინდამიცინი:** 5მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 6-12 საათში (დამოკიდებულია ასაკსა და წონაზე); შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

» **პირველი რიგის პრეპარატია** მეტრონიდაზოლი ან კლინდამიცინი, რომელიც ემატება ემპირიულ რეჟიმს.

დამატებით

სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» **ნისტატინი:** 100 000 ერთეული (1მლ) ორალურად დღეში ოთხჯერ

მწვავე

ან

» ფლუკონაზოლი: 6-12მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 24-72 საათში, შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

ან

» ამფოტერიცინი B ლიპოსომური: 3-5 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 24 საათში; შემდგომი დოზირებისთვის საჭიროა სპეციალისტთან კონსულტაცია

» ანტიბიოტიკოთერაპიის მიღებისას სოკოს საწინააღმდეგო წამლების პროფილაქტიკის მიზნით გამოყენების შესახებ არის აზრთა სხვაობა. დანესებულებებს შორის. თუმცა, candidiasis პრევენციისთვის ახალშობილებში შეიძლება დაინიშნოს ორალური ნისტატინი.[81]

» პაციენტებს შეიძლება დასჭირდეთ ინტრავენური ფლუკონაზოლით ან ლიპოსომური ამფოტერიცინ B-ით ხანგრძლივი მკურნალობა თუ მოსალოდნელია ან დამტკიცებულია ინვაზიური სოკოვანი ინფექცია. სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალობა უნდა მოხდეს ემპირიულ ანტიბიოტიკებზე დამატებით მცირე წონიან ჩვილებში (ე.ი. <1500გ) და იმუნოკომპრომისულ პაციენტებში, რომლებშიც სავარაუდოა სეფსისი.

დამატებით ანტივირუსული თერაპია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» აციკლოვირი: 20 მგ/კგ ინტრავენურად, 8 საათში ერთხელ

» მარტივი ჰერპეს ვირუსის დაფარვა (მაგ: აციკლოვირი) განხილულ უნდა იქნას სეფსისის მძიმე შემთხვევებისას ან თუ არის მითითებული პაციენტის ანამნეზში ან გამოკვლევების ჩატარებისას.[59]

■ ჩვილები და ბავშვები (>1 თვე) დამატებით ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ყველაპაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» ცეფოტაქსიმი: 150-200მგ/კგ/დღეში ინტრავენურად, გაყოფილი დოზებით ყოველ 6-8 საათში

ან

მწვავე

» **ცეფტრიაქსონი:** 100მგ/კგ/დღეში ინტრავენუზად, გაყოფილი დოზებით ყოველ 12-24 საათში

ან

» **პიპერაცილინი/ტაზობაქტამი:** 300-400მგ/კგ/დღეში ინტრავენუზად, გაყოფილი დოზებით ყოველ 6-8 საათში.
დოზა მიმართულია პიპერაცილინის კომპონენტისკენ.

ან

» **მეროპენემი:** 60 მგ/კგ/დღე ინტრავენუზად, დაყოფილი დოზებით ყოველ 8 საათში

» სეფსისის მძიმე ფორმის დადგენისას შეყვანა ხდება 1 საათში.[5] [48] [109]

» უნდა დაფაროს Staphylococcus, Streptococcus, N meningitides, and Haemophilus influenzae.

» ანტიბიოტიკების რეჟიმის შერჩევა დაფუძნებული უნდა იყოს კლინიკურ სინდრომზე, რომელიც საფუძვლად უდევს მიმდინარე დაავადებას, წამლის აუტანლობასა და ადგილობრივი პათოგენისადმი მგრძნობელობაზე.

» არაჰოსპიტალური ინფექციისთვის მესამე თაობის ცეფალოსპორინები (მაგ., ცეფოტაქსიმი, ცეფტრიაქსონი) არის შესაფერისი პირველი რიგის არჩევის პრეპარატი. ჰოსპიტალური ინფექციისთვის, ფართო სპექტრის პენიცილინის (მაგ., პიპერაცილინი/ტაზობაქტამი) ან კარბაპენემის (მაგ., მეროპენემი) გამოყენებაა შესაძლებელი. ამ დაფარვის დამატებითი გაფართოვება (მაგ., გენტამიცინით ან ვანკომიცინით) შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.[127] გამომწვევი პათოგენი გამოვლინების შემდეგ, შეიძლება გადავიდეთ შესაბამისი ვიწრო სპექტრის ანტიბიოტიკების რეჟიმზე. მეროპენემი უზრუნველყოფს ფართო სპექტრის დაფარვას გრამ-დადებითი და გრამ-უარყოფითი ბაქტერიების, Pseudomonas-ის ჩათვლით. ბავშვებში იმუნიტეტის დაქვეითების და მულტირეზისტენტული პათოგენების მაღალი რისკის გარეშე, არ არის რეკომენდებული ერთი და იგივე პათოგენის წინააღმდეგ მიმართული რამოდენიმე ემპირიული ანტიმიკრობული საშუალებების რუტინული გამოყენება.[5]

მწვავე

» ნეიტროპენიულ პაციენტებში პიპერაცილინი/ტაზობაქტამი ან მეროპენემი მიიჩნევა პირველი რიგის პრეპარატებად. ჯანდაცვის და კლინიკური დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტი მხარს უჭერს პიპერაცილინის/ტაზობაქტამის გამოყენებას პირველი რიგის პრეპარატის სახით ესკალაციით კარბაპენემზე, როგორცაა მეროპენემი, თუ ადგილი აქვს კლინიკურ გაუარესებას (მაგ., შოკი).[128]

» კარგი პრაქტიკაა, ყოველდღიურად გადახედოთ ანტიბიოტიკოთერაპიას, კლინიკური ეფექტის მისაღწევად და საჭიროების შემთხვევაში დეესკალაციის მიზნით. ინტრავენური ანტიბიოტიკების 5-7 დღიანი კურსი საკმარისია გაურთულებელი ინფექციების უმეტესობის დროს. ღრმა ან დისემინირებული ინფექციისას ან დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პაციენტებში ინფექციისას შეიძლება საჭირო გახდეს ანტიმიკრობული თერაპიის გახანგრძლივებული კურსი.

დამატებით ანტიბიოტიკები ფარავს გრამ უარყოფით ბაქტერიას

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» გენტამიცინი: 2.5 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 8 საათში; ან 5-7.5 მგ/კგ ინტრავენურად დღეში ერთხელ

მეორეული ვარიანტები

» ციპროფლოქსაცინი: 20-30 მგ/კგ/დღეში ინტრავენურად, გაყოფილი დოზებით ყოველ 12 საათში

» გენტამიცინი ან ციპროფლოქსაცინი ზოგჯერ რეკომენდებულია ემპირიულ რეჟიმზე დამატებით, რათა მოხდეს გრამ უარყოფითი ბაქტერიების დამატებითი დაფარვა საჭიროების შემთხვევაში.[127] საჭიროა კონსულტაცია ადგილობრივ ინფექციონისტთან. ციპროფლოქსაცინის რეზისტენტობა იზრდება ზოგიერთ რეგიონში და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული უსაფრთხოების საკითხები.

დამატებით ანტიბიოტიკმა უნდა დაფაროს კოაგულაზა უარყოფითი სტაფილოკოკი და/ან მეთიცილინ რეზისტენტული ოქრისფერი სტაფილოკოკი

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

მწვავე

» ვანკომიცინი: 15მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 6 საათში; დარტყმითი დოზა საჭიროა მძიმედ ავადმყოფ ბავშვებში

ან

» ტეიკოპლანინი: 10მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 12 საათში, სანყისი 3 დღისთვის. შემდეგ 10მგ/კგ დღეში ერთხელ

» ვანკომიცინი რეკომენდებულია ემპირიულ რეჟიმზე დასამატებლად სისხლძარღვის კათეტერთან დაკავშირებული კოაგულაზა უარყოფითი სტაფილოკოკისთვის და/ან მეთიცილინ რეზისტენტული ოქროსფერი სტაფილოკოკისთვის. ეს ასევე რეკომენდებულია ნეიტროპენიის მქონე პაციენტებში, რათა მოხდეს სეფსისის ხაზის მკურნალობა, თუმცა როგორც წესი ეს არ განიხილება პირველი რიგის თერაპიად თუ არ არის ცენტრალურ ვენურ კათეტერთან დაკავშირებული სეფსისის (line-related sepsis) ნიშნები.[128]

» შესაძლებელია თეიკოპლანინის გამოყენება ამ მდგომარეობაში.

დამატებით ანტიბიოტიკი ტოქსიკური შოკის დროს მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის პირველადი პარამეტრები

» კლინდამიცინი: 30-40მგ/კგ/დღეში ინტრავენურად, გაყოფილი დოზებით ყოველ 6-8 საათში

» კლინდამიცინი გამოიყენება ემპირიული რეჟიმისას დამატებითათ ტოქსინით განპირობებული რეზისტენტული პიპტენზიით მიმდინარე ტოქსიკური შოკის სინდრომისთვის.[5]

დამატებით სოკოს სანინალმდეგო პრეპარატები მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის პირველადი პარამეტრები

» ფლუკონაზოლი: 6-12მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 24 საათში

ან

» ამფოტერიცინი B ლიპოსომური: 3-5 მგ/კგ ინტრავენურად, ყოველ 24 საათში ერთხელ

მწვავე

» პაციენტებს შეიძლება დასჭირდეთ ინტრავენური ფლუკონაზოლით ან ლიპოსომური ამფოტერიცინ B-ით ხანგრძლივი მკურნალობა თუ მოსალოდნელია ან დამტკიცებულია ინვაზიური სოკოვანი ინფექცია. სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალობა უნდა მოხდეს ემპირიულ ანტიბიოტიკებზე დამატებით მცირე წონიან ჩვილებში (ე.ი. <1500გ) და იმუნოკომპრომისულ პაციენტებში, რომლებშიც სავარაუდოა სეფსისი.

» ნეიტროპენიის მქონე პაციენტებს აქვთ ინვაზიური სოკოვანი ინფექციის განვითარების მაღალი რისკი და უნდა მიიღონ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები ინტრავენური ფლუკონაზოლი ან ლიპოსომური ამფოტერიცინ B.

დამატებით ანტივირუსული თერაპია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» **აცეკლოვირი:** ჩვილები <3 თვის ასაკში: 20 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 8 საათში; ჩვილები ≥3 თვის ასაკში: 250-500 მგ/სხეულის ზედაპირის ფართობის კვ. მ ინტრავენურად ყოველ 8 საათში

ან

» **ოსელტამივირი:** 1 წლამდე ასაკის ბავშვები: ღოზის შესახებ მიმართეთ სპეციალისტს; ბავშვები ≥1 წლის და სხეულის წონა ≤15 კგ: 30 მგ პერორალურად ორჯერ დღეში, 5 დღის განმავლობაში; 16-23 კგ: 45 მგ პერორალურად ორჯერ დღეში, 5 დღის განმავლობაში; 24-40 კგ: 60 მგ პერორალურად ორჯერ დღეში, 5 დღის განმავლობაში; >40 კგ: 75 მგ პერორალურად ორჯერ დღეში, 5 დღის განმავლობაში

» მარტივი ჰერპეს ვირუსის დაფარვა (მაგ: აციკლოვირი) განხილულ უნდა იქნას სეფსისის მძიმე შემთხვევებისას ან თუ არის მითითებული პაციენტის ანამნეზში ან გამოკვლევების ჩატარებისას.[59]

» სეფსისის მქონე პაციენტებში, რომელთაც სეფსისი გრიპის გამო უვითარდებათ გრიპის სეზონის დროს, ემპირიული ანტივირუსული თერაპია (მაგ. ოსელტამივირი) უნდა დაიწყოს ვირუსის ტესტის პასუხის მოლოდინში.

სიახლეები

პენტოქსიფილინი

პენტოქსიფილინი არის მეთილქსანთინის დერივატივი, რომელიც აინჰიბირებს ერითროციდ ფოსფოდიესტერაზას და აქვს ანთების საწინააღმდეგო თვისებები. ასევე ადაბლებს სისხლის სიბლანტეს და აქედან გამომდინარე ფიქრობენ რომ აუმჯობესებს მიკროცირკულაციასა და ქსოვილების პერფუზიას.^[152] პენტოქსიფილინი შეიძლება შეამციროს სიკვდილობა იმ დროულ და დღენაკლულ ახალშობილებში, რომელთაც აქვთ სეფსისი და მანევროზებელი ენტეროკოლიტი, ისევე როგორც ფილტვის ქრონიკული დაავადება და ჰიპოქსიური იმემიური ენცეფალოპათია. კოჰრენის მიმოხილვამ აღმოაჩინა ყველა მიზეზით სიკვდილიანობის შემცირება პენტოქსიფილინის მიღების დროს, რომელიც დაფუძნებული იყო 6 დაბალი ხარისხის რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევების მტკიცებულებებზე, რომელშიც ჩართული იყო სეფსისით დაავადებული სულ 416 ახალშობილი.^[153] არასასურველი ეფექტების მტკიცებულება არ იყო. სხვა მცირე კვლევებმა აჩვენა სისხლდენის სიხშირის და ახლად გაყინული პლაზმის გამოყენების, პოლიორგანული დისფუნქციის სინდრომის ქელის და ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობის მაჩვენებლის შემცირება სეფსისის მქონე ახალშობილებში.^[154] შემდგომი კვლევები იქნება საჭირო, ვიდრე პენტოქსიფილინი იქნება რეკომენდებული ნეონატალური სეფსისის ან მანევროზებელი ენტეროკოლიტის კლინიკურ პრაქტიკაში ფართოდ გამოსაყენებლად.

ახლო ინფრანთელის სპექტროსკოპია

სპექციფიკურ ორგანოებში (მაგ: ტვინი, თირკმელები, ღვიძლი, ნაწლავი, კუნთი) ჟანგბადით გაჯერების შეფასების არაინვაზიური მეთოდები. ზოგიერთ განყოფილებაში, ეს მიჩნეულია ჰემოდინამიკური მონიტორინგის სტანდარტულ ზრუნვად, განსაკუთრებით იმ ბავშვებსა და ახალშობილებში რომლებსაც უტარდებათ გულის ოპერაცია. სეფსისის მქონე მოზრდილებში არსებობს რამდენიმე პატარა კვლევა, რომელიც აჩვენებს მის სარგებლიანობას რათა წინასწარ შეაფასონ გულის დაბალი ნუთმოცულობა.^[155] ^[156] ^[157] ის შეიძლება სასარგებლო იყოს ახალშობილებში და მცირეწლოვან ბავშვებში, როცა არ არის შესაძლებელი გულის დარტყმითი მოცულობის ინვაზიური მონიტორინგი.

პირველადი პრევენცია

პირველადი პრევენციის ძირითადი მეთოდია იმუნიზაცია. ბიოტექნოლოგიების სფეროში მიღწეულმა წარმატებებმა მიგვიყვანა ახალი და გაუმჯობესებული ვაქცინების შექმნასთან, მათ შორისაა ვაქცინები: *Haemophilus influenzae b* ტიპის *Neisseria meningitidis* (C ტიპის), და *Streptococcus pneumoniae*.^[49]

2015ში B მენინგოკოკური ვაქცინა წარადგინეს ინგლისში ბავშვთა რუტინული ვაქცინაციის პროგრამაში.^[50] შეერთებულ შტატებში, მენინგოკოკის სეროგუფის B ვაქცინაცია რეკომენდებულია დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) მიერ 10 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისთვის, რომლებიც იდენტიფიცირებულნი არიან ამ ბაქტერიით დაავადების გაზრდილი რისკის ქვეშ.^[51] ^[52] ვაქცინაცია ასევე შეიძლება ჩაუტარდეს 16-18 წლის მოზარდებს, რომლებსაც არ აქვთ გაზრდილი რისკი^[52] მენინგოკოკის სერო გუფებისთვის A, C, W და Y, CDC რეკომენდაციას უწევს, რომ 11-12 წლის ასაკის ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს მენინგოკოკური კონიუგატული ვაქცინის ერთი დოზა (MenACWY) ბუსტერ დოზა ერთად 16 წლის ასაკში.^[52]

2022 წელს CDC-მ დაამატა დენგეს ვაქცინა თავის განრიგში 9-16 წლის ასაკის ბავშვებისთვის, რომლებსაც აქვთ წინა ლაბორატორიულად დადასტურებული დენგეს ვირუსის ინფექცია, რომლებიც ცხოვრობენ იმ მხარეში, სადაც დენგო ენდემურია.^[52]

გლობალური უთანასწორობა არსებობს ვაქცინის არსებულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური ვაქცინის სამოქმედო გეგმა არის ჩარჩო, რომელიც ამცირებს ინფექციით სიკვდილობის მთელ მსოფლიოში ვაქცინების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით.^[53]

ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფექციების შემცირება პირველადი პრევენციის მნიშვნელოვანი ასპექტია. ვინაიდან ეს ინფექციები დაკავშირებულია კონკრეტულ ჩარევებთან (მაგ., სისხლძარღვშიდა კათეტერის ჩასმა), არსებობს ინფექციის რისკის შემცირების შესაძლებლობები კლინიკური პრაქტიკის (მაგ., ხელის დაბანის გაუმჯობესებული პრაქტიკა, დამცავი იზოლაცია და უსაფრთხოების უნივერსალური ზომები) გაუმჯობესებით. ამ სფეროში წარმატებული ინიციატივის მაგალითია მოზრდილთა და პედიატრიულ

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ვენური კათეტერით გამოწვეული ჰემატოლოგიური ინფექციების შემცირება კომპლექსური კლინიკური და არაკლინიკური ჩარევების მეშვეობით.^[54]

CDC იძლევა რეკომენდაციებს ახალშობილ პაციენტებში ინფექციების პროფილაქტიკისთვის. ისინი გვიჩვენებს, რომ ცენტრალური ხაზის ტიპი (მაგ., ჭიპის ვენური კათეტერი, პერიფერიულად ჩასმული ცენტრალური კათეტერი, გვირაბიანი კათეტერი და ა.შ.) უნდა შეირჩეს პაციენტის კლინიკურ საჭიროებებზე და არა მხოლოდ ცენტრალურ ხაზთან ასოცირებული სისხლის ნაკადის ინფექციის პრევენციის საფუძველზე. გარდა ამისა, ცენტრალური ხაზის კერაზე წვდომის რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს, რათა შემცირდეს ცენტრალური ხაზის ასოცირებული სისხლის ნაკადის ინფექციის რისკი ამ პაციენტებში.^[55] CDC რეკომენდაციას უწევს ჭიპის ვენური და ჭიპის არტერიული კათეტერების ამოღებას ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილების პაციენტებში რაც შეიძლება მალე და როცა აღარ არის საჭირო, რადგან არსებობს ცენტრალური ხაზის ასოცირებული სისხლის ნაკადის ინფექციის გაზრდილი რისკი ყოფნის დროის გაზრდის ყოველ დღეს.^[55]

მეორეული პრევენცია

მოზრდილი პაციენტებისთვის, რომელთაც უტარდებათ კიბოს საწინააღმდეგო მკურნალობა, ჯანდაცვის და კლინიკური დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტი გაერთიანებულ სამეფოში რეკომენდაციას უწევს ფტორქინოლონების გამოყენებას ნეიტროპენიის მოსალოდნელი ეპიზოდების დროს სეფსისით გართულებების პრევენციისთვის.^[128] ეს გავრცელებული პრაქტიკაა ბავშვებში. ასევე რეკომენდებულია ოსელტამივირის/ზანამივირის პროფილაქტიკა გრიპის ვირუსის ექსპოზიციის შემდეგ.

ცისტური ფიბროზის და რესპირატორული სხვა დაავადების მქონე ბავშვებს შეიძლება დაენიშნოთ პროფილაქტიკისთვის ანტიმიკრობული საშუალებები (მაგ: ტრიმეთოპრიმ/სულფამეთოქსაზოლი).

ამჟამად არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება პროფილაქტიკის მიზნით ანტიბიოტიკების გამოყენების შესახებ, იმ ბავშვებში ინფექციის პრევენციისთვის, რომელთაც აქვთ ცენტრალური ვენური კათეტერი.^[170]

მონიტორინგი

მონიტორინგი

იმ ბავშვებს, რომელთაც აქვთ სპეციფიკური პრემორბიდული დაავადებები, რომლის გამოც სეფსისის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, საჭიროებენ სხვა პაციენტებისგან განსხვავებულ მონიტორინგს. მონიტორინგი ხშირად დამოკიდებულია ფონურად მიმდინარე დაავადებაზე (მაგ: რესპირატორული მონიტორინგი იმ ბავშვში რომელსაც ჰქონდა პნევმონია). ზოგიერთ ბავშვს შეიძლება დასჭირდეს მონიტორინგი ისეთ კლინიკისტებთან, როგორიცაა სპეციალისტი ფარმაცევტი და პედიატრი.

ბავშვი, რომელსაც აქვს განმეორებითი სეფსისი, ან რომელსაც აქვს პირველადი იმუნოდეფიციტის შესატყვისი დაავადებები ოჯახურ ანამნეზში (მაგ: კომპლემენტის დაავადებები) უნდა გაიგზავნოს იმუნოლოგიური მონიტორინგისთვის. როდესაც განმეორებითი ინფექციები არის, პროფილაქტიკური ანტიბიოტიკების საჭიროების განხილვა უნდა მოხდეს პედიატრ იმუნოლოგთან.

განვითარების ხანგრძლივი მონიტორინგი მნიშვნელოვანია სეფსისი მძიმე ფორმიდან ან კრიტიკული დაავადებიდან გამოჯანმრთელებისთვის.

გართულებები

გართულებები		ქრონოლოგია ალბათობა	
თირკმლის მწვავე დაზიანება	მოკლევადიანი	მაღალი	
გულის შემცირებული წუთმოცულობა ხშირად იწვევს თირკმლის პერფუზიას, რაც იწვევს ოლიგურიას ან ანურიას.[164] მიუხედავად იმისა, რომ AKI შედარებით ხშირია, იგი იშვიათადაა დაკავშირებული ჰისტოლოგიურ ცვლილებებთან ან თირკმლის ჩანაცვლების ხანგრძლივი თერაპიის საჭიროებასთან. ოლიგურიის მართვა როგორც წესი შესაძლებელია მიღწეულ იქნას მოცულობის შემცირებისა და ჰიპოტენზიის კორექციის გზით.[164] პროსპექტულმა კოჰორტულმა კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი ლაქტატის, დაბალი დიასტოლური წნევის, მაღალი ცენტრალური ვენური წნევის და დაბალი სისტემური სისხლძარღვთა წინააღმდეგობის ინდექსის არსებობა გულის წუთმოცულობის მონიტორინგზე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში შეოსვლისას, შეიძლება წინასწარმეტყველებდეს AKI განვითარებას 94% სიზუსტით.[84]			
მიოკარდიუმის დისფუნქცია	მოკლევადიანი	მაღალი	
როგორც წესი გარდამავალია და არ არის მძიმე ფორმის. იშვიათად იწვევს სიკვდილს.[165] ფიქრობენ რომ გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს, მოცირკულირე მიოკარდიუმის დეპრესიული ფაქტორები. ადეკვატური რეჰიდრატაციის შემდეგ, უნდა მოხდეს ვაზოაქტიური-ინოტროპული აგენტების განხივლა, რათა შენარჩუნდეს გულის ინდექსი, საერთო არტერიული წნევა, შერეული ვენური ჟანგბადით გაჯერება და შარდის მოცულობა. • ვაზოაქტიური- ინოტროპების ადრეული გამოყენება სითხის მიმართ რეფრაქტერული შოკისას აჩვენებს გაუმჯობესებულ შედეგებს.[92] [134] ექიმმა უნდა მოახდინოს მკურნალობის ტიტრაცია კონკრეტული მიზნების და სასურველი სამიზნე მაჩვენებლების გათვალისწინებით. სამიზნე მაჩვენებლები (Endpoints) უნდა დაზუსტდეს დროის გარკვეულ ინტერვალში ხშირად პაციენტის კლინიკური სტატუსის ცვლილების შესაბამისად.[165]			
დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედედება(DIC)	მოკლევადიანი	მაღალი	
პაციენტში, რომელსაც აქვს კოაგულოპათია და დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედედება საჭიროა შენარჩუნდეს თრომბოციტების ნორმალური რაოდენობა და INR. არ არსებობს კვლევები თრომბოციტებისა და შემადედეგელი კომპონენტებს ტრანსფუზიის შესახებ იმ ბავშვებში, რომელთაც აქვთ სეფსისის დროს დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედედება და კოაგულოპათია. სიფრთხილზეა საჭირო სიმპტომატიკური მკურნალობისას, რათა თავიდან იქნას არიდებული სისხლდენა. უნდა მოხდეს თრომბოციტების ტრანსფუზია თრომბოციტების რაოდენობის >50,000/მიკროლიტრი შესანარჩუნებლად, რათა შემცირდეს ინტრაკრანიალური სისხლდენის რისკი. ახალი გაყინული პლაზმის დანიშვნა ასევე საჭიროა INR ნორმალიზაციისთვის. კრიოპრეციპიტატს აქვს ფაქტორი VIII და ფიბრინოგენის უფრო მაღალი კონცენტრაცია და მისი გამოყენება შესაძლებელია ჰიპოფიბრინოგენემიის სამკურნალოდ.			
ჰიპოგლიკემია	მოკლევადიანი	მაღალი	
სეფსისის დროს შესაძლებელია გლიკოგენის მარაგის განლევა; შესაბამისად, მნიშვნელოვანია მონიტორინგი და ჰიპოგლიკემიის მკურნალობა ინტრავენური დექსტროზის უწყვეტი ინფუზიით, რათა			

გართულებები

ქრონოლოგია ალბათობა

მოხდეს გლუკოზის ასაკთან შესაბამისი მიწოდება (მაგ., 2 მლ/კგ 10% ინტრავენური დექსტროზა, შემდეგ დამხმარე ინფუზია დამხმარე სითხის სტანდარტული საჭიროების სახით).^[92]

საჭიროა შემდგომი შემანარჩუნებელი ინფუზიის გაგრძელება სითხის მოთხოვნილების შესაბამისად. ჰიპერგლიკემია

მოკლევადიანი

მაღალი

ჰიპერგლიკემია ხშირად ვითარდება სეფსისის დროს სტრესის პასუხად ან კორტიკოსტეროიდებით მკურნალობისას გვერდით ეფექტად.

ჰიპერგლიკემია ასევე დაკავშირებულია რამდენიმე კლინიკური მდგომარეობის გვერდითი ეფექტების შედეგებთან (მათ შორის პედიატრიული ინტენსიური თერაპია) გლიკემიური კონტროლის რეკომენდაციები მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურიდან.^[83] ჰიპერგლიკემიის ამჟამინდელი მენეჯმენტი განსხვავებულია სხვადასხვა დანესებულებებში, მაგრამ მკაცრმა კონტროლმა (ე.ი მკურნალობა რომლის დროსაც სისხლში გლუკოზის სამიზნე რაოდენობაა 4.0-7.0 მმოლი/ლ (72-126 მგ/დლ) არ გააუმჯობესა ძირითადი კლინიკური შედეგები, მაშინ როდესაც გაზარდა ჰიპოგლიკემიის რისკი.^[83] ზოგიერთი ექსპერტის რეკომენდაციაა ინსულინის უწყვეტი ინფუზია, თუ სისხლში გლუკოზის 2 თანმიმდევრული დონე აღემატება 12 მმოლი/ლ (216 მგ/დლ), თუ პაციენტი იმყოფება პედიატრიულ ინტენსიური მკურნალობის განყოფილებაში.

ნერვ-კუნთოვანი სისუსტე

მოკლევადიანი

საშუალო

სეფსისი, სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი და მრავალი ორგანოს უკმარისობა არის შეძენილი ნერვკუნთოვანი სისუსტის რისკ-ფაქტორები.^[167]

ნერვკუნთოვანი სისუსტე დაკავშირებულია იმობილიზაციის ხანგრძლივობასთან და ასოცირდება კორტიკოსტეროიდების, სედატიური საშუალებების და ნერვკუნთოვანი ბლოკადის გამოყენებასთან.

სპეციალური ჩარევები, როგორიცაა ელექტროფიზიოლოგიური კვლევები, გამოსახულებით კვლევები და ბიოფსია შეიძლება საჭირო გახდეს რათა მოხდეს სისუსტის ან პარალიზის (როგორიცაა კომპარტმენტული სინდრომი ან ცერებრალური ინფარქტი) გარჩევა სხვა გამომწვევი მიზეზებიდან.

ნეკროზული ენტეროკოლიტი

მოკლევადიანი

საშუალო

ნეკროზული ენტეროკოლიტის პათოფიზიოლოგია ბოლომდე შესწავლილი არ არის. როგორც ჩანს ეს არის მულტიფაქტორული და მულტისისტემური დაავადება.^[168] რისკ-ფაქტორებია ნაწლავის განუვითარებლობა, ნაწლავის მიკრობიოტის შეუსაბამო კოლონიზაცია, ჰიპოქსია/იშემია, ხელოვნური კვება და ერთროციტული მასის არჩევითი ტრანსფუზია. დაბადებისას 500 გ - 1500 გ მასის დღენაკულუ ახალშობილებში საშუალო პრევალენტობა შეადგენს 7%-ს, სავარაუდო სიკვდილიანობით 20% და 30% შორის.^[168]

NEC კლასიკური პრეზენტაცია იქნება დღენაკულუ ჩვილში კუჭის ნალვლოვანი ასპირატის და ღებინების, მუცლის შებერილობის და სისხლიანი განავლის განვითარება ენტერალური კვების ჭარბი მოცულობის შემდეგ.

მუცლის ღრუს გამოსახულებით კვლევაზე შეიძლება გამოჩნდეს ნაწლავის პნევმატოზი, აირები პეპატობილიარულ გზებში და პნევმოპერიტონიუმი.

NEC მართვა გულისხმობს კონსერვატიულ მკურნალობას, მოქმედების ფართო სპექტრის ინტრავენური ანტიბიოტიკებით და პარენტერალური კვების კომბინაციით. ქირურგიული ჩარევა საჭიროა იმ პაციენტებში რომელთაც აქვთ ნაწლავის პერფორაცია. შეიძლება საჭირო გახდეს ლაპაროტომია დაზიანებული ან ნეკროზული ნაწლავის რეზექციით და ენტეროსტომია სტომის ფორმირებით. ჩვილებში შეიძლება განვითარდეს წვრილი ნაწლავის ობსტრუქცია მეორადად ნაწლავის სტრიქტურის შემდეგ.

გართულებები		ქრონოლოგია ალბათობა	
მანევროზებული ენტეროკოლიტის შემდეგ პაციენტებს აქვთ ხანგრძლივი ფსიქომოტორული პრობლემების მაღალი რისკი. სხვა ხანგრძლივი გართულებებია: ხანგრძლივი პარენტერალური კვების საჭიროება და მოკლე ნაწლავის სინდრომი			
მულტიორგანული უკმარისობა	მოკლევადიანი	საშუალო	
მულტიორგანული უკმარისობის მკურნალობა სეფსისის დროს, როგორც წესი, დამხმარეა. ეს მოიცავს ეფექტურ ანტიბიოტიკოთერაპიას, მიზანმიმართულ თერაპიას (ჰიპოტენზიის, ანემიის, კოაგულოპათიის, სისხლდენის და შოკის კორექციისთვის) და სტანდარტულ დამხმარე მკურნალობას ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. ეს შეიძლება მოიცავდეს დამხმარე ვენტილაციას, სედაციას და თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიას.			
ახალშობილებში (0 დღიდან 1 კვირამდე) ფილტვის პერსისტენტული ჰიპერტენზია	მოკლევადიანი	საშუალო	
სეფსისის მიერ გამოწვეულმა აციდემიამ და ჰიპოქსიამ შეიძლება განაპირობოს ფილტვის არტერიის ჰიპერტენზია და არტერიული სადინრის (ductus arteriosus - ductus Botalles) ღიაობის შენარჩუნება.			
მარჯვენა პარკუჭის გაზრდილმა დატვირთვამ შეიძლება განაპირობოს მარჯვენა პარკუჭის უკმარისობა ღვიძლის შეგუბებასთან და გულის წუთმოცულობის შემცირებასთან ერთად.			
ბოტალის სადინრის (Ductus arteriosus) საშუალებით ფილტვის არტერიიდან ჟანგბადით ღარიბი სისხლის შერევა ჟანგბადით მდიდარ სისხლთან იწვევს მარჯვენა ხელსა და ქვედა კიდურებს შორის ჟანგბადით გაჯერების სხვადასხვაობას.			
მკურნალობა გულისხმობს აზოტის ოქსიდის ინჰალაციას და/ან ინოტროპული საშუალებების დანიშვნას.			
ჰიპოკალცემია	მოკლევადიანი	საშუალო	
ჰიპოკალცემია ხშირია იმ ბავშვებში რომლებიც საჭიროებენ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოთავსებას სეფსისის მძიმე ფორმის ან სეპტიკური შოკის გამო.			
შეჯამებული გაიდლაინის მიხედვით ბავშვებში სეპტიკური შოკის მკურნალობა შეიცავს რეკომენდაციებს რათა მოხდეს მეტაბოლური პათოლოგიების კორექცია, მათ შორის ჰიპოკალცემიის. ეს რეკომენდაცია არ არის დამყარებული რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევის კონკრეტულ მტკიცებულებაზე; ჰიპოკალცემია მიჩნეულია როგორც გულის ცუდი ფუნქციის მიზეზი. ^[169] სიფრთხილვა საჭირო სისხლის ტრანსფუზიისას, ვინაიდან პლაზმის კალციუმის დონე შეიძლება დაქვეითებული იყოს სისხლის შესანახად გამოყენებული ციტრატის ზემოქმედებით.			
მკურნალობის თვალსაზრისით რეკომენდებულია 10%იანი კალციუმის გლუკონატის ინტრავენური მიწოდება.			
აბდომინური განყოფილების სინდრომი	მოკლევადიანი	დაბალი	
გამოწვეულია ინტრააბდომინალურ წნევის მომატებით ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ნაწლავის შეშუპება და ასციტი. თუ საშუალო არტერიული წნევა ვერ აკომპენსირებს ინტრა აბდომინალურ წნევას, ირღვევა მუცლის ღრუს ორგანოების პერფუზია.			
შარდის ბუშტში წნევის მონიტორინგი ხდება ფოლის კათეტერის მეშვეობით. თუ ინტრააბდომინალური წნევაა >12 მმვწყს, უნდა დაინიშნოს შარდმდენები, მოხდეს სითხის მოშორება ჰემოფილტრაციით			

გართულებები**ქრონოლოგია ალბათობა**

ან პერიტონეალური დრენაჟით. უკიდურეს შემთხვევებში (ინტრა აბდომინალური წნევა >30 მმწყსვ) შეიძლება საჭირო გახდეს ქირურგიულად მუცლის დეკომპრესია რათა აღდგეს მუცლის ღრუს ორგანოების პერფუზია.

ფარისებრი ჭირკვლის უკმარისობა

მოკლევადიანი

დაბალი

როდესაც არსებობს გულის დაბალი წუთმოცულობის ან გულის დაბალი ინდექსის მონაცემები, უნდა შემოწმდეს ფარისებრი ჭირკვლის ფუნქცია და ფარისებრი ჭირკვლის ჩანაცვლებითი თერაპია დაიწყოს თუ გამოვლინდება ფარისებრი ჭირკვლის უკმარისობა (ანუ, შრატში თიროიდმასტიმულირებელი ჰორმონის დონის მომატება ან შრატში თავისუფალი T4 შემცირება). ეუთიროიდული სინდრომის მქონე პაციენტები არ იღებენ ფარისებრი ჭირკვლის ჩანაცვლებითი თერაპიას.

ნევროლოგიური გართულებები

გრძელვადიანი

საშუალო

ფოკალური ნევროლოგიური დეფიციტი და სმენის დაკარგვა ბაქტერიული მენინგიტის მქონე პაციენტების ცნობილი გართულებებია, მაგრამ თავად სეფსისმა (სხვა წარმოშობის) შეიძლება ასევე გამოიწვიოს მუდმივი ნევროლოგიური უკმარისობა დაბადებისას ძალიან მცირე წონის ახალშობილებში.^[166] ავადობისა და სიკვდილობის მაჩვენებელი უფრო მაღალია პნევმოკოკური მენინგიტის დროს ვიდრე მენინგოკოკური მენინგიტისას.

პროგნოზი

მკურნალობის გარეშე, სეფსისის მძიმე შემთხვევების სიკვდილობის მაჩვენებელი აჭარბებს 80%-ს.^[158] მკურნალობის შედეგად, საერთო სიკვდილობა არის დაახლოებით 10% 19 წლამდე ასაკის ბავშვებში.^[159] არ არის განსხვავება სქესის მიხედვით ბავშვებში. ადრე არსებული/ფონური დაავადების მქონე პაციენტებს აქვთ სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებელი - 12.8%, მანამდე ჯანმრთელ ბავშვებთან შედარებით - 7.8%.^[160]

კიბოთი დაავადებულ ბავშვებში, სეფსისით გამოწვეული საერთო სიკვდილიანობა იყო 17%. მაჩვენებელი გაიზარდა 30%-მდე იმ ბავშვებში, რომელთაც ჩაუტარდათ ჰემატოპოეზური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია. სოკოვანი სეფსისი ატარებს სიკვდილიანობის დისპროპორციულ 63%-იან მაჩვენებელს მაღალი რისკია ამ ჯგუფში.^[161]

პერსისტენტული შოკი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოთავსებისას დაკავშირებული იყო სიკვდილიანობის გაზრდილ შანსების შეფასებასთან - 3.8 (95% CI 1.4 - 10.2).^[162] პერსისტენტული შოკის ყოველი დამატებითი საათი დაკავშირებულია სიკვდილობის >2 -ჯერ გაზრდილ შანსებთან.^[163]

აშშ-ში ბოსტონის ბავშვთა საავადმყოფოში ერთი კვლევის მონაცემებით, სეფსისის ადრეული გამოვლენით და რეანიმაციით კრიტიკული მედიცინის ამერიკის კოლეჯის - პედიატრიული გაფართოებული რეანიმაციის (ACCM-PALS) გაიდლაინების მიხედვით, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დაყვანების საშუალო ხანგრძლივობა იყო 5.5 დღე, ხოლო ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა - 8 დღე.^[93]

დიაგნოსტიკური გაიდლაინები

გაერთიანებული სამეფო

Fever in under 5s: assessment and initial management (<https://www.nice.org.uk/guidance/ng143>)

ავტორი National Institute for Health and Care Excellence

ბოლო გამოქვეყნება: 2021

Suspected sepsis: recognition, diagnosis and early management (<https://www.nice.org.uk/guidance/ng51>)

ავტორი National Institute for Health and Care Excellence

ბოლო გამოქვეყნება: 2024

საერთაშორისო

Surviving Sepsis Campaign children's guidelines (<https://www.sccm.org/SurvivingSepsisCampaign/Guidelines/Pediatric-Patients>)

ავტორი Surviving Sepsis Campaign

ბოლო გამოქვეყნება: 2020

ჩრდილოეთი ამერიკა

Evaluation and management of well-appearing febrile infants 8 to 60 days old (<https://pediatrics.aappublications.org/content/148/2/e2021052228>)

ავტორი American Academy of Pediatrics

ბოლო გამოქვეყნება: 2021

Prevention of group B streptococcal early-onset disease in newborns (<https://www.acog.org/clinical>)

ავტორი American College of Obstetricians and Gynecologists

ბოლო გამოქვეყნება: 2020
(reaffirmed 2022)

Management of infants at risk for group B streptococcal disease (<https://pediatrics.aappublications.org/content/144/2/e20191881>)

ავტორი American Academy of Pediatrics

ბოლო გამოქვეყნება: 2019

Management of neonates born at ≥ 35 0/7 weeks' gestation with suspected or proven early-onset bacterial sepsis (<https://pediatrics.aappublications.org/content/142/6/e20182894>)

ავტორი American Academy of Pediatrics

ბოლო გამოქვეყნება: 2018

American College of Critical Care Medicine clinical practice parameters for hemodynamic support of pediatric and neonatal septic shock (https://journals.lww.com/ccmjournals/Fulltext/2017/06000/American_College_of_Critical_Care_Medicine.18.aspx)

ავტორი American College of Critical Care Medicine

ბოლო გამოქვეყნება: 2017

მკურნალობის გაიდლაინები

გაერთიანებული სამეფო

Statement on the initial antimicrobial treatment of sepsis (<https://www.aomrc.org.uk/reports-guidance>)

ავტორი Academy of Medical Royal Colleges

ბოლო გამოქვეყნება: 2022

Fever in under 5s: assessment and initial management (<https://www.nice.org.uk/guidance/ng143>)

ავტორი National Institute for Health and Care Excellence

ბოლო გამოქვეყნება: 2021

Neonatal infection: antibiotics for prevention and treatment (<https://www.nice.org.uk/guidance/ng195>)

ავტორი National Institute for Health and Care Excellence

ბოლო გამოქვეყნება: 2024

Intravenous fluid therapy in children and young people in hospital (<https://www.nice.org.uk/guidance/ng29>)

ავტორი National Institute for Health and Care Excellence

ბოლო გამოქვეყნება: 2020

Suspected sepsis: recognition, diagnosis and early management (<https://www.nice.org.uk/guidance/ng51>)

ავტორი National Institute for Health and Care Excellence

ბოლო გამოქვეყნება: 2024

Meningitis (bacterial) and meningococcal septicaemia in under 16s: recognition, diagnosis and management (<https://www.nice.org.uk/guidance/CG102>)

ავტორი National Institute for Health and Care Excellence

ბოლო გამოქვეყნება: 2015

საერთაშორისო

Surviving sepsis campaign: international guidelines for management of sepsis and septic shock: 2021 (<https://www.sccm.org/SurvivingSepsisCampaign/Guidelines/Adult-Patients>)

ავტორი Surviving Sepsis Campaign

ბოლო გამოქვეყნება: 2021

ჩრდილოეთი ამერიკა

Fever and antipyretic use in children (<https://publications.aap.org/pediatrics/article/127/3/e20103852/65016/Fever-and-Antipyretic-Use-in-Children>)

ავტორი American Academy of Pediatrics

ბოლო გამოქვეყნება: 2011
(reaffirmed 2022)

Evaluation and management of well-appearing febrile infants 8 to 60 days old (<https://pediatrics.aappublications.org/content/148/2/e2021052228>)

ავტორი American Academy of Pediatrics

ბოლო გამოქვეყნება: 2021

Prevention and management of neonatal herpes simplex virus infections (<https://www.cps.ca/en/documents>)

ავტორი Canadian Paediatric Society

ბოლო გამოქვეყნება: 2020

Management of neonates born at $\geq 35\ 0/7$ weeks' gestation with suspected or proven early-onset bacterial sepsis (<https://pediatrics.aappublications.org/content/142/6/e20182894>)

ავტორი American Academy of Pediatrics

ბოლო გამოქვეყნება: 2018

American College of Critical Care Medicine clinical practice parameters for hemodynamic support of pediatric and neonatal septic shock (https://journals.lww.com/ccmjjournal/Fulltext/2017/06000/American_College_of_Critical_Care_Medicine.18.aspx)

ავტორი American College of Critical Care Medicine

ბოლო გამოქვეყნება: 2017

ონლაინ რესურსები

1. NICE: traffic light system for identifying risk of serious illness (<https://www.nice.org.uk/guidance/ng143/chapter/recommendations#table-1-traffic-light-system-for-identifying-risk-of-serious-illness>) (external link)
2. NICE: table 1 - risk stratification tool for adults, children and young people aged 12 years and over with suspected sepsis (<https://www.nice.org.uk/guidance/ng51/resources/table-1-risk-stratification-tool-for-adults-children-and-young-people-aged-12-years-and-over-with-suspected-sepsis-2551487005>) (external link)
